საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 14 ივნისი, 2013 წელი.

№110 (7237)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეგური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ქართველი მამლუქები ჰელმანდის ჯოჯოხეთში...

„ნუ გინდა სხვისი შარავანდი. ოქრო, დიდება, რადგანაც თავი იმთავითვე ნაგებული გაქვს“... 3

ლეფა ხელისუფლებისთვის და იქ კიტრით და ლიმონათით მორბენალი დეპუტატები 4

ლადო ჰაპავა:

ნაციონალებს მორალური უფლება არა აქვთ, უნივერსიტეტის დამოუკიდებლობის ხარისხზე ილაპარაკონ! 2

განა შეიძლება, ერთსა და იმავე უნივერსიტეტში თან სტუდენტი იყო და თან დეკანი?! 5

სამძიმარი – სრულიად საქართველოს

გარდაიცვალა გიგა ლორთქიფანიძე



გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 86 წლისა გარდაიცვალა ცნობილი ქართველი რეჟისორი, რუსთაველისა და მარჯანიშვილის პრემიების ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის ყოფილი თავმჯდომარე, 100-ზე მეტი სპექტაკლის და 4 ფილმის, მათ შორის „დათა თუთაშხიას“ ავტორი, ღირსების ორდენოსანი, გულმხურვალე პატრიოტი, შესანიშნავი მოქალაქე და პიროვნება

გიგა ლორთქიფანიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის წევრებს და სრულიად საქართველოს.

ქართული ოპოზიცია „თალიბანის“ დაშინების ავტორს ხელისუფლებაში ეძებს 8

კუბლაშვილმა თავისი გაიტანა 7

პრეზიდენტი პროექტს ხელს არ აწერს, 6

იშხნის განადგურება კი ივანიშვილს დაბრალდება

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ალმა მატერი

განათლების კანონში შესატან ცვლილებებს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის გადადგომა მოჰყვა. აღმოჩნდა, რომ უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელს ალექსანდრე კვიტაშვილს აკადემიური ხარისხი არ ჰქონია. აგვისტოში ახალი რექტორის ვინაობა გაირკვევა, მაგრამ აქედანვე ცნობილი გახდა, რომ კონკურსში მონაწილეობას მიიღებს აკადემიკოსი ლადო პაპავა.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში ბატონმა ლადომ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში განხორციელებული ცვლილებები წესრიგის აღდგენას ემსახურება. და, რა თქმა უნდა, სწორედ ეს იყო „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დაპირება. **„ის, რაც უნივერსიტეტში ხდებოდა, ეს იყო პროფესორების, სტუდენტების უფლებების დარღვევა. კანონში ყოველთვის ერთმნიშვნელოვნად მითითებული იყო, რომ რექტორს აკადემიური ხარისხი აუცილებლად უნდა ჰქონოდა, რაც შემდეგ ამოიღეს“,** — აღნიშნა მან.

ლადო პაპავა: ნაციონალებს მორალური უფლება არა აქვთ, უნივერსიტეტის დამოუკიდებლობის ხარისხზე ილაპარაკონ!

რა მიზნები აქვს აკადემიკოსს თბილისის უნივერსიტეტთან დაკავშირებით?

უნივერსიტეტს სტატუსი შეეცვალა, რასაც ბუნებრივად უნდა მოჰყოლოდა ცვლილებები, რეორგანიზაცია. უმცირესობას შენიშვნები აქვს იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ დანიშნავს პრემიერ-მინისტრი რექტორის მოვალეობის შემსრულებელს, რაც ცვლილებების შემთხვევაში იგეგმება. მათი თქმით, ამას უნივერსიტეტის დამოუკიდებლობა შეეწირება. თუმცა აქამდე რამდენად იყო დამოუკიდებელი დედა უნივერსიტეტი, ლადო პაპავას ამაზე თავისი შეხედულება აქვს: **„უნივერსიტეტის თავისუფლების შეზღუდვა მას შემდეგ დაიწყო, რაც იქ პრეზიდენტმა რექტორის მოვალეობის შემსრულებლად რუსუდან ლორთქიფანიძე დანიშნა. ამას მოჰყვა აგრესიული პოლიტიკის განხორციელება პროფესურაზე და „ჩარეცხვის“ პროცესი, რომელიც სწორედ პრეზიდენტის ინიციატივით მოხდა. უნივერსიტეტზე რომ პოლიტიკური ზეგავლენა ხდებოდა, ეს თვალნათელი იყო“.**

ნაციონალებს უნივერსიტეტი ხელიდან ეცლებათ და გული შესტკივათ, თორემ მათ მორალური უფლება არა აქვთ დამოუკიდებლობის ხარისხზე ილაპარაკონ, — ამბობს აკადემიკოსი, — სწორედ მათ გაყარეს უნივერსიტეტიდან სერიოზული მეცნიერები, რომელთაგან ზოგიერთი გარდაიცვალა კიდეც...

უნივერსიტეტში რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი უკვე გამოცხადდა. ლადო პაპავა მონაწილეობას აპირებს, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მას პროფესორთა ან სტუდენტთა ჯგუფი დაასახელებს: **„მე ჩემს თავს არამც და არამც არ დავასახელებ, თუკი საინიციატივო ჯგუფი არ წარმადგენს. მით უფრო, რომ ჩემთან ძალიან ბევრი მოდიოდა და მთხოვდა რექტორის თანამდებობის დაკავებას, თუკი ამის შესაძლებლობა იქნებოდა“.**

მაგრამ არის ერთი მნიშვნელოვანი მომენტი. პარლამენტში ცვლილებებს იხილავენ. გადაწყვეტილი არაფერია. ამიტომ შესაძლებელია, აგვისტოში არჩევნები არც შედგეს და პრემიერ-მინისტრმა დანიშნოს მოვალეობის შემსრულებელი. ბატონი ლადო მიიჩნევს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში უნივერსიტეტს ლეგიტიმური ხელმძღვანელი სჭირდება, რომელსაც კოლექტივის მაღალი მხარდაჭერა ექნება: **„ვინც არ უნდა დანიშნოს პრემიერმა, დარწმუნებული ვარ, რომ ის ღირსეული პიროვნება იქნება, მაგრამ ეს უნდა იყოს დროებითი. გარდამავალ დებულებაში აუცილებლად უნდა ჩაიწეროს ვადა, რის შემდეგაც არჩევნები დაინიშნება. ლეგიტიმური რექტორი უფრო ადვილად შეძლებს რეფორმების განხორციელებას, ვიდრე დანიშნული“,** — ამბობს ის.

და ვინ აირჩევს რექტორს? — დღევანდელი კანონმდებლობით მას აკადემიური საბჭო ირჩევს, თუმცა ლადო პაპავას აზრით, უმჯობესი იქნება, თუკი გაფართოვდება ამომრჩეველთა წრე, ვინაიდან მხოლოდ აკადემიური საბჭო ზოგად განწყობას სრულყოფილად ვერ ასახავს.

რა თქმა უნდა, ჯერ ნაადრევია სამოქმედო გეგმაზე საუბარი და იმ რეფორმებზე, რომელსაც ბატონი ლადო აპირებს, რადგან ჯერ კონკურსზე განაცხადი არც შეუტანია და მით უმეტეს, არ არის იმის გარანტია, რომ ის უპირობოდ გაიმარჯვებს. თუმცა... განათლებისა და მეცნიერების შესახებ ლადო პაპავას მოსაზრებები ყველასთვის ნათელია. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე აკადემიკოსმა ძალიან ვრცლად შეაფასა ე.წ . „დვალის კომისიის“ კონცეფცია, რომელსაც უნდა დაეფუძნოს საგანმანათლებლო-სამეცნიერო სისტემა. ისიც აღინიშნა, რომ მისი დამოკიდებულება არც თუ დადებითია. მას შენიშვნები ჰქონდა ამ კონცეფციასთან დაკავშირებით და აქვს კიდეც.

ლადო პაპავას აზრით, უნივერსიტეტისთვის უმთავრესია დამოუკიდებლობის ხარისხის მაღალი დონე, პროფესურამ თავად უნდა გადაწყვიტოს სწავლების მიმდინარეობის პროცესი, სადაც აუცილებელია სტუდენტთა აზრის გათვალისწინება. უნდა აღდგეს სამართლიანობა...

რაც შეეხება ახალ კონცეფციას, ბატონი ლადო ამბობს: **„კონცეფციით რეფორმა ვერ ჩატარდება. თანაც „დვალის კომისიას“ არა აქვს ლეგიტიმაცია, ვინაიდან კომისიას საინიციატივო ჯგუფი ჰქვია. რაც შეეხება შინაარსს, სადაც „თენუირებულ პროფესორებზეა“ საუბარი, რეალურად ასეთი სულ რამდენიმე შეიძლება გვყავდეს საბუნებისმეტველო მეცნიერებაში, ხოლო სოციალურ-ჰუმანიტარულ ან ეკონომიკურ მეცნიერებებში საერთოდ არა გვყავს. „თენუარის ინსტიტუტი“ ფინანსებთან არის დაკავშირებული. არ შეიძლება ისეთი მოდელი შესთავაზო უნივერსიტეტს, რაც დასავლეთშიც კი ეჭვებს იწვევს. უნივერსიტეტში პროცესი გაცილებით რთულად არის გასავითარებელი, ვიდრე ეს კონცეფციაშია ასახული“.**

„ჩემთვის პროფესორი და სტუდენტი — ეს ორივე კომპონენტი მნიშვნელოვანია — ამბობს ის, — სამწუხაროდ, „ლომაიას მოდელი“ მხოლოდ პროფესურას ითვალისწინებდა, ხოლო „დვალის კომისიის“ კონცეფციაში სტუდენტის უფლებები ძალიან ცოტა დოზით არის გათვალისწინებული. თუკი უნივერსიტეტს მე ჩავუდგები სათავეში, აუცილებლად გავაკეთებ იმას, რომ იყოს პროფესორთა და სტუდენტთა უფლება-მოვალეობათა ერთობლიობა“, — ირწმუნება აკადემიკოსი.

თეა მოსია

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● კვიტაშვილმა ერთი ნაბიჯით დაასწრო ხელისუფლებას და თვითონ გადადგა. მიშა, ნაცებო, გაითვალისწინეთ ეს გამოცდილება. დაასწარით გამომძიებლებს და თქვენ თვითონ მიდით ციხეში. დედას გეფიცებით, მაგარი პიარი იქნება და მაგრად დავცინოთ ამ ხელისუფლებას.

● მარიხუანას დეკრიმინალიზაცია და ლეგალიზაცია მოხდა უკვე, თუ რატომ წერენ დაბოლილ კანონებს?

● ახლა ნახეთ, რაებს გაათამაშებენ ჯავახიშვილისა და ილიას უნივერსიტეტები: რექტორები პირდაპირ ინიშნებიან მოვალეობის შემსრულებლებად, გარდა იმათი, ვისაც სამეცნიერო ხარისხები არ აქვთ. ეგეთი „უხარისხოები“ კვიტაშვილი და გიგი თევზაძე არიან... კვიტაშვილი გადადგა, ახლა ნახე თევზაძეც მიჰყვება. მერე თავისთვის სანდო ტიპებს აირჩევს ორივე უნივერსიტეტი — ჯავახიშვილიც და ილიაუნიც, ნაცების მომხრეს ბუნებრივია და ასე გაჭედავენ ისევ ბიძინას „სასტავს“... ვითომ რამე შეიცვალას ვარიანტი იქნება და კვლავ ნაცებს დარჩებათ მაინც მმართველობა ყველა უნივერსიტეტში.

● დაქირავებულის უფლებები რომ ნულთანაა გათანაბრებული და იშვიათათდ თუ იცის ვინმემ თავისი უფლებები და თუ კონტრაქტზე მოაწერ ხელს, იქ უკვე ვერაფერს გახდები და იმ კონტრაქტებში რომ ყოველთვის შეიძლება ჩაიდოს ისეთი ნიუანსი, რომ ვერაფერს იზამ, ეს ანბანური ჭეშმარიტება გააქცევს აქედან ინვესტორს? დამპლები! უბრალოდ, არ უნდათ ის, რომ ადამიანებმა უჩივლონ უხელფასობის, დაზღვევის უზრუნველყოფაზე უარის და ასე შემდეგ ელემენტარულ ვალდებულებებზე! ნაძირლების ხროვაა მთელი დამსაქმებლების, განსაკუთრებით კერძოების უკან!

● ვისაც პუტინის აბსოლუტურად სიაფანდ 10-წუთიან ბაზარზე რამე იმედები გაგიჩნდათ, რომ რუსები რამენაირად მართლა არ შეგვიშლიან ხელს აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობის დალაგების მცდელობებში, გირჩევთ „პრავდა-იზვესტიას“ მეთოდით უსმინოთ პუტინს — ანუ თუ რამეზე ამბობენ — ჩვენ ხელს არ შევუშლით, ჩათვალეთ, რომ უაღრესად მაგრად შეუშლიან, თუ ამბობენ, ჩვენ არაფერ შუაში ვართ, ჩათვალეთ, რომ თავში არიან!

აი, აშკარა მაგალითიც — საკმარისი იყო ერგნეთის მსგავსი ბაზრობის იდეა გახმაურებულიყო, რაც ნამდვილად ძალიან დაათბობდა ოსებთან უერთიერთობას, რომ სწორედ რუსებმა (და არა ოსებმა) დაიწყეს ეს მავთულხლართების გაბმა და სხვა სასაზღვრო ბარიერების შექმნა.

თუმცა, ამის უფლებას თქვენ და მე უნდა ვაძლევდეთ თავს და მთავრობა, აჯობებს, ისევ მოთმინების და არაკონფრონტაციულ რეჟიმში იყოს.

● მოკლედ, მეგობრებო! რა დრო იყო, როცა ჩვენი მაღალი ყოველდღე რაღაცას „ახალს“ ხსნიდა და თავის ამპლუაში იყო, ახლა ერთი უშიშროების საბჭოს მუშაობა დარჩა და იმასაც უწუნებენ. ბ-ნმა ირაკლი ღარიბაშვილმა აბსოლუტურად უუნარო და უმოქმედო ორგანო უწოდა. არა რაა, არ აცდიან მოკლედ მუშაობას. ეს ერთი შეკრებისა და თათბირის ორგანო მაინც დაუტოვეთ, ანდა პარლამენტში მიიწვიეთ. მოკვდა კაცი უმუშევრობით, მართლა სულ ხომ არ იფრენს, მიაღებინეთ მის მიერ „დაწყებული აღმშენებლობის“ საქმეში მონაწილეობა. ეეჰ,რა დრო დაგიდგა მაღალო!

შეარჩია
გია გაბრიჭიძემ

◎ კანონმდებლები

2014 წელს პარლამენტის ბიუჯეტი 2 მილიონი ლარით შემცირდება

მომავალი წლის პარლამენტის ბიუჯეტი 52 მლნ. 91 ათას ლარი იქნება, რაც 2 მლნ. ლარით ნაკლებია მიმდინარე წლის ბიუჯეტზე.

საქართველოს პარლამენტის 2014 წლის საბიუჯეტო განაცხადი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე განიხილეს.

პარლამენტის მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის ძირითადი პარამეტრები კომიტეტის წევრებს კომიტეტის თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილმა გააცნო.

პარლამენტის 2014 წლის საბიუჯეტო განაცხადი პარლამენტის ბიუროს უკვე წარედგინა, პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, 15 ივნისამდე საქართველოს მთავრობას უნდა წარედგინოს.

◎ ალიან-ჩალიანი

კბილაშვილი - ალთასაა დონაძე - ბალთას

— FBI-ს დასკვნაში წერია, რომ ბუტა რობაქიძის მკვლელობის ადგილზე გადაღებული მასალა, რომელიც მოიპოვა რობაქიძის საქმეში ბრალდებულმა ირაკლი ფირცხალავამ, მონტაჟი არ არის. — ამის შესახებ პროკურატურის დატოვების შემდეგ საქმეში ერთ-ერთმა ბრალდებულმა გურამ დონაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე ინფორმაციით, FBI-ს დასკვნის შუალედური ნაწილი ემთხვევა ბრალდებულების მიერ წარმოებულ საექსპერტო კვლევებს.

მან მადლობა გადაუხადა გამოძიებას დღემდე ბრალდებულებთან მიმართებაში წარმოებული საქმისთვის.

მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა კი ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ბუტა რობაქიძის მკვლელობის ადგილზე გადაღებულ ვიდეომასალაში, FBI-დან მიღებული შუალედური დასკვნის მიხედვით, ათეულობით მონტაჟის ფაქტი იკვეთება.

მისი თქმით, აქედან გამომდინარე, არ შეიძლება აღნიშნული ვიდეომასალა გამოძიებისთვის ხარისხიან ინფორმაციად ჩაითვალოს.

წესით, არ უნდა იყოს აღნიშნული მასალა მტკიცებულებად მიღებული და შინაარსობრივი ხასიათის დასკვნები არ უნდა გაკეთდეს“, — განაცხადა კბილაშვილმა.

ელისო ჩაფიძე წინააღმდეგია

განათლების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ელისო ჩაფიძე განათლების შესახებ მთავრობის კანონპროექტს მხარს არ უჭერს და წინააღმდეგია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორი პრემიერმა დანიშნოს.

სწორედ ამის გამო ჩაფიძემ განათლების შესახებ კანონპროექტს პლენარულ სხდომაზე მხარი არ დაუჭირა.

— ეს სწორად არ მიმაჩნია. მე ვაპირებ დავაყენო ამ მუხლის შეცვლის საკითხი, რადგან ზოგადად არ მომწონს როდესაც ძალაუფლება ერთ რომელიმე კონკრეტული თანამდებობის პირის ხელში იყრის თავს, იმის მიუხედავად, ვინც არ უნდა იყოს ის, — აღნიშნა ჩაფიძემ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

არის ასეთი აზრიც!

ქართველი მამლუქები ჰელმანდის ჯოჯოხეთში...

„ნუ დაიფიცებ სხვის დედას და ნურც სხვის ომში ნუ იომებ!“

„ჰელ“ – ინგლისურად ჯოჯოხეთს ნიშნავს. ამიტომ ჰელმანდის პროვინციას თამამად შეიძლება ერთი სახელი, „ჰელმანდია“ ვუწოდოთ, რაც პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც უპრიანი იქნება ჩვენი ბიჭების ადგილსამყოფელთან მიმართებით!

მამლუქი არაბულად – თეთრი მონა, მრავალტანჯული ქართველი ერის ისტორიაში ჯოჯოხეთის დარი, ტკივილამდე ნაცნობი ფენომენია – XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან. XVIII საუკუნეში ე.წ. ლეკიანობამ ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ ჩვენი „ისტორიული მეგობრის“ სტამბოლის მონათა ბაზარი დარჩეული გურჯი გოგო-ბიჭების დეფიციტს არ განიცდიდა – პირველნი ოსმალეთის იმპერიის სრა-სახლთა ჰარამხანებში აკეთილშობილებდნენ სელჯუკიანთა მოდგმას, ხოლო მამაცი გურჯი ვაჟები „ბრწყინვალე პორტას“ სამხედრო პოტენციალს აძლიერებდნენ!

ამ „ბიზნესს“ არც ქართველები ვთაკილობდით – საკუთარ სისხლ-ხორცს დაუნდობლად ვყიდდით და თუ ლეკიანობა რუსეთთან შეერთებისთანავე ლამის მყისიერად აღიკვეთა, ქართველებს ტყვეთა სყიდვა-გაყიდვა XIX საუკუნის შუამდე ვერც რუსებმა მოგვაშლევინეს. ეს სამარცხვინო ფაქტიც უნდა ვაღიაროთ...

ამ ტკივილს ხანდახან სიამაყეც ერთვის ხოლმე – ქართველმა „თეთრმა მონებმა“ დროთა განმავლობაში ისეთ სიძლიერეს მიაღწიეს ეგვიპტეში, სირიასა და ერაყში, რომ ოსმალეთის იმპერიის ამ ნაწილში სულთან-ფაშობასაც გამოკრეს ხელი და ეგვიპტის მამლუქთა უძლეველი არმია, რომელიც უმეტესად გურჯებისგან შედგებოდა, ხომ შიშის ზარს სცემდა მთელს ახლო აღმოსავლეთს, მაგრამ ამ სიამაყეს ერთი მარტივი კითხვა აცამტვერებს – ამით საქართველოს, შენს სამშობლოს რა ხეირი?

არაფერი, რადგან უცხო თესლთა სამსახურში „დიდება-პატივი“, საბოლოო ჯამში მაინც კონდრატე თათარაშვილის (უიარაღოს) „მამლუქიდან“, ხვიჩას და გოჩას ზოგადქართული ტრაგედიაა, ხოლო ამ ლიტერატურულ შედევრში თხრობილი დრამა სიმბოლოა სხვათა ომებში თავგანწირვის უაზრობისა!..

თანამედროვე, XXI საუკუნის ქართველი მამლუქები ავღანეთში პირველად 2004 წელს გამოჩნდნენ 50-კაციანი საცდელი ბატალიონის სახით, ხოლო რუსეთ-საქართველოს ომის წინა ნატოს ბუქარესტის სამიტზე, სააკაშვილის მიერ ვოლუნტარისტულად აღებული ვალდებულების ძალით, ჩვენმა სამხედრო კონტინგენტმა სოლიდურ რაოდენობას მიაღწია!

2-3 დღეში სამარცხვინოდ წაგებული ომის შემდეგ ხომ საერთოდ მაგრად გარეკა „გარეკილ პირველმა“ და ქართველ მამლუქთა „დემოკრატიულმა“ დესანტმა ავღანეთში რამდენიმე ასეულს გადააჭარბა. შედეგმაც არ დააყოვნა: 2010 წლის სექტემბერს შეიძლება შავი სექტემბერი ვუწოდოთ – ჯერ 5-ში სნაიპერის ტყვიით მოკლულ ლეიტენანტ მუხრან შუკვანის პირველი „ცინკის“ კუბო ჩამოვიდა თბილისში, ხოლო 30 სექტემბერს ჰელმანდის ცხელ ქვიშებში ერთბაშად 4 ქართველი ვაჟკაცი გამოესალმა სიცოცხლეს!..

მაგრამ მოდით, დროებით თავი ვანებოთ ახლო თუ შორეულ ისტორიულ ექსკურსებს და წერილის მთავარ თემას, ავღანეთში დატრიალებულ უკანასკნელ ტრაგედიას მივუბრუნდეთ, ანუ, „შავ ივნისს“, როდესაც ერთბაშად 7 მამლუქი შეწირეთ სხვის ინტერესებს. დიახ, სხვის და ამაზე ქვემოთ. მანამდე კი...

ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ!

6 ივნისს დილით სოციალურ ქსელში „იმ ვიდეოს“ დადებამ, საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია – ერთნი იმ კადრების ნამდვილობაში, ხოლო მეორენი ფაბრიკაციაში იყვნენ დარწმუნებულნი. თუმცა, ეს „უწყინარი“ დისკუსია დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგანაც რამდენიმე საათში თალიბანის დაპირებული ჯიჰადი აგვიხდა! თუმცა, „საბედნიეროდ“ ჯერჯერობით არა აქ, საქართველოში, არამედ იქ, „ჰელმანდიაში“.

ამის შემდეგ იმის მტკიცებას, რომ ვიდეომუქარა და მომხდარი ტერორისტული აქტი მხოლოდ დამთხვევაა, მართლაც დამთხვეული თუ გააგრძელებს!

ანდრო ბარნოვი: ცნობილი „ლიტერატორი“, შემდეგ უნივერსიტეტის დეკანი, შემდეგ თავდაცვის მინისტრის მოადგილე (???), 1 ოქტომბრის შემდეგ შიდა ქართლის გუბერნატორი და ბოლოს კრეტინი (ვადაგასულიც) პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი! უფრო მოკლედ კი, იქით-აქეთ ამდენი რთული სკუპ-სკუპის შემდეგ, მარტივად „შორისდებული“ (ადამიანის ანატომიაში რომელ „ორგანოს“ უხმობენ შორისდებულად, არ დავაკონკრეტებ) – ორივე ვერსიას „აწვება“!

პირველზე მოგახსენეთ, ხოლო, რაც შეეხება ფაბრიკაციას, თუ მასეა, მაშინ ანდრო შორისდებულსაც და სხვა „დებულებსაც“ ვურჩევ, რუსეთისკენ ხელის გაშვერას მოეშვნენ, რადგანაც ეს ფაბრიკაცია ძალიან მაგონებს ავადხსენებულ „მოდელირებულ ქრონიკას“ – ანუ ის ვიდეო, პრეზიდენტზე ლეღვის ფოთლად აფარებული ანდრო შორისდებულის სცენარით გადაღებულ-დამონტაჟებული უფროა, ვიდრე „ოკუპანტი რუსეთის“ ხრიკები!

კიდევ ერთი, რასაც თავისი სახელი სჭირდება – **თვითმკვლელმა ტერორისტმა საქართველოს სამშვიდობო ბაზასთან თავი აიფეთქა!** დაახლოებით ასეთი ტექსტით გვამცნეს მომხდარის შესახებ...

რატომ ვუწოდებთ ავღანელ პატრიოტებს თვითმკვლელ ტერორისტებს? იმიტომ, რომ ამერიკელებს ასე სწადიათ, იმიტომ, რომ ამერიკელებმა თავად მონათლეს ISAF მისია ტერორიზმთან ბრძოლად?

ავღანელი მოჯაჰედები იქნებიან თუ თალიბები, ისინი სანამ საკუთარ მიწაზე, სამშობლოში არიან, საკუთარ დამოუკიდებლობას, თავისუფლებას და იმას იცავენ, რამაც ერთბაშად ჩვენი 7 ბიჭის სიცოცხლე შეიწირა. შექანებული თვითმკვლელის შეუგნებელი ტერორი კი არა, სრულიად შეგნებული, სამართლიანი და ტკბილი შურისძიების აღსრულება ჰქვია სამშობლოს ოკუპანტებზე – დიახ, თუკი რუსებს ვეძახით ოკუპანტებს, ქართველებიც ისეთივე (იქნებ უარესიც) ოკუპანტები ვართ ავღანეთში და არა ISAF მშვიდობის მტრედები!

ARA, BATONEBO! EGRE SAD ARIS, ჯერ თქვენი შვილები, ძმები გაუშვით ავღანეთის ჯოჯოხეთში „საქართველოს დასაცავად“ და მერე ილაპარაკეთ ამაღლებული პათეტიკით სხვისი შვილების შეგნებულ არჩევანზე „ჰელმანდიაში“, მერე გექნებათ მორალური უფლება მისამძიმრებისა, თორემ მანამდე თქვენნაირების სამძიმარი, მხოლოდ ნიანგის ცრემლებია!

რაც შეეხება ზოგადად ტერორიზმს, გამართლება შეუძლებელია, მაგრამ გულისგულში ვერც ბოლომდე გაემტყუნებათ ავღანელებს, როცა ისინი ტერორისტულ აქტებს ახორციელებენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთ დროს უდანაშაულო ხალხი, მათ შორის ბავშვებიც იღუპებიან – მათაც ჰყავთ ბავშვები, ქალები და მოხუცები, რომლებიც მრავლად იღუპებოდნენ ჯერ საბჭოთა ოკუპაციის (ამერიკელების ISAF არ იყოს, ამასაც ცინიკურად „ინტერნაციონალური ვალის მოხოცნება, ფანტაზიაა – ასე განმარტავს ამ ბერძნულ სიტყვას ლექსიკონი და რაოდენ სამწუხაროა, რომ ამ ქიმერულ რიტორიკაში ბიძინა ივანიშვილის კოალიცია, არჩევნებამდე და განსაკუთრებით არჩევნების შემდეგ, ტოლს უდებს ნაციონალ-ფაშისტებს – ამ შემზარავი ტრაგედიის მერეც კი, „ქართული ოცნება“ და „ნაცოპოზიცია“ კოჰაბიტაციურ უნისონში „მღერიან“, რომ ავღანეთში ჩვენი სამხედრო მისიის ფორმატი არ გა-და-ი-ხე-დე-ბა!

ამ უკანასკნელთა რიტორიკა გასაგებია – არც ადრე ჰქონიათ რეალური პლატფორმა ნაციონალებს და მით უმეტეს ახლა აღარაფერი აქვთ, გარდა დასავლეთისკენ მიმართული პოპულიზმისა!

კოალიციის ჭრელი „სასტავიდან“, არც რესპუბლიკელების და არც სხვა ლიბერასტებისა უკვირს ვინმეს – მათაც „NATO, NATO“ უნდა იყვირონ და ყვირიან კიდეც, რადგან ყველანი ერთი ნალეტით არიან დაჭედილები პოტომაკის ნაპირზე, მაგრამ ბატონი ბიძინაც?

დავიჯეროთ, ის ვერ ხედავს ნატოს ქიმერულობას? ერთი წუთით დავუშვათ, რომ გულწრფელად ბრმაა, მაგრამ დაკარგულის დაბრუნება და ISAF ერთად რომ არ გამოვა, არც ეგ იცის?

ნატოს კარზე პირველად ედუარდ შევარდნაძემ მიაკაკუნა, მაგრამ მას მხოლოდ გასაღების ჭუჭრუტანიდან შეახედეს. ვარდების რევოლუციის შემდეგ კი, რასმუსენ-აპატურაი-კლინტონ-რაისები სულ გვარწმუნებენ, რომ კარი ღიაა და აუცილებლად მიგვიღებენ, მაგრამ როდის, ათწლეულებად მიახლოებით თარიღსაც არავინ გვეუბნება! ეს ტყუილების კასკადი განსაკუთრებით აგვისტოს ომის შემდეგ გაძლიერდა, ანუ მაშინ, როცა თეორიული შანსიც აღარ არსებობს (არსებობდა კი ოდესმე?) ჩვენი იქ მიღებისა!

ამის შემდეგ გვაბოლებენ „მაპზე უკეთესით“ და „ასპირანტობით“...

იგივე ითქმის კრიზისით მოცულ ევროკავშირზეც, რომელიც დიდი ალბათობით 2-3 წელიწადში დაიშლება! ასეც რომ არ იყოს, რა გვინდა, რა დაგვიკარგავს იმ ორგანიზაციაში, რაღაა დარჩენილი ე.წ. დასავლური ღირებულებებიდან, – პედერასტობა, ერთსქესიანი ქორწინებები? ან რატომ ერქვა იმ ღირებულებებს დასავლური, რაც მართლაც პრიორიტეტი იყო ბებერი ევროპისთვის? განა ჩვენ, შოთა რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას მშობელი ერი, ევროპაზე ბევრად ადრე არ ვეზიარეთ ქრისტიანულ, მართლმადიდებლურ კულტურას?

ლია მუხაშავრიამ, უნივერსიტეტის სტუდენტებთან (!!!) შეხვედრაზე, „თუ პროგრესი გვინდა, ერთსქესიანი ქორწინებები უნდა დავაკანონოთო“! ჰოდა, ამ „პროგრესს“ საფრანგეთის კვალდაკვალ, ინგლისის ლორდთა პალატამაც დაუჭირა მხარი და იგივეს აპირებს „მამაცი სქოტების“ შოტლანდიაც...

მოკლედ, ეს სხვა, ვრცელი თემებია. აქ არც ადგილია და არც აუცილებლობა მყარი არგუმენტების მოყვანისა ზემოთ თქმულის საარგებლოდ, რისთვისაც მომავალში მზად გახლავართ. მანამდე კი მოკლედ ვიტყვი – ვინც დღესაც კი, NATO ევროკავშირის პერსპექტივებით ხიბლავს ქართველ საზოგადოებას, ის ან შეუგნებელი ბრიყვია, ან შეგნებული, უნამუსო მატყუარაა!!!

ერთადერთი „მაპი“, რასაც არ დაგვამადლიან, ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსისთვის არა, მაგრამ მსოფლიო პედერასტთა ალიანსში გაწევრებისთვის ნაღდად მოგვცემენ და აკი ეცადნენ კიდეც ჩვენი „დასავლელი მეგობრები“ 17 მაისს ამ პედერასტული „მაპის“ შემოჩეჩებას!

რაც შეეხება დავით უსუფაშვილის განცხადებას, რომ ჩვენ თუ უარს ვიტყვით „ჰელმანდიაში“ მამლუქების გაგზავნაზე, ევროპელი მონიტორები დასტოვებენ საქართველოსო! გზა მშვიდობისა – ყალბი აღშფოთება-შეშფოთების მეტი, რა ხეირი გვახსოვს მათგან?

თუმცა, ამას წინათ ეგეც დაგვამადლეს, როდესაც რუსებმა მავთულხლართების გაბმა დაიწყეს, ფილიპ დიმიტროვი იყო მგონი, ჟურნალისტების შეკითხვაზე, არ ვიცი ჯერ არაფერი, გავარკვევ რა ხდება და კომენტარი მერეო – რა ვიცი, პედერასტების გამო კი უცბად აკეთებენ კომენტარებს, მაშინვე ზუსტად გვითითებენ, ვინ, რომელი მღვდელია დასაჭერი და ვინ დასახვრეტი...

ისე, ეს ის დავით უსუფაშვილია, რომელმაც ბიძინას პოლიტიკაში გამოჩენამდე, ასეთი რამ განაცხადა კავკასიის პირდაპირ ეთერში:

„მე ჩემს შვილებს იმას არ ვასწავლი, რომ სამშობლოს უნდა შეეწირო. მთავარია, თავისუფალ ადამიანად გაიზარდოს და თავად გადაწყვიტოს, ვის და რას შეეწირებაო“.

არა, ბატონებო! ეგრე სად არის, ჯერ თქვენი შვილები, ძმები გაუშვით ავღანეთის ჯოჯოხეთში „საქართველოს დასაცავად“ და მერე ილაპარაკეთ ამაღლებული პათეტიკით სხვისი შვილების შეგნებულ არჩევანზე „ჰელმანდიაში“, მერე გექნებათ მორალური უფლება მისამძიმრებისა, თორემ მანამდე თქვენნაირების სამძიმარი, მხოლოდ ნიანგის ცრემლებია!

რაც შეეხება „რუსეთთან მარტო დარჩენას“ – ნეტავი როდის არ ვიყავით მარტონი? როდესაც 1990-იანებში დე ფაქტო „აგვახიეს“ ცხინვალ-სოხუმი, თუ 2008 წლის ომის დროს, როდესაც დე ფაქტო უკვე დე იურედაც „დაგვაწერეს“? რის პასუხადაც ამერიკამ პამპერსები გამოგვიგზავნა, ემანდ არ ჩაისვარონ ქართველებმაო, და გამოხდილი წყალი, ჯანში გასაკეთებლად!..

ან ახლა რა, „მარტონი თუ არა ვართ“, რასაც უნდა არ აკეთებენ? რა არის საზღვრის რამდენიმე მეტრით გადმოტანა, თუ არა გზავნილი ქართველებს? – ფეხებსაც ვერ მომჭამს თქვენი NATO, ჰა, დაგეხმარნონ, რატომ არ გეხმარებიან? იმიტომ, რომ იციან – „ვეტომ გასტინიცე ია დირექტორ“...

იხ. 4 გვ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ცხელ გულზე

კარგით რა, დაგვცინით?!

ანუ სეფა ხელისუფლებისთვის და იქ კიტრით და ლიმონათით მორბენალი დეპუტატები

ამ წერილს ერთის შეხედვით ოფიციალური, მაგრამ რეალური კუთხიდან დანახული, მწარედ ირონიული განცხადებით დავიწყებ:

„2012 წლის პირველ ოქტომბერს ქართველმა ხალხმა თავის ისტორიაში პირველად მოახერხა და ხელისუფლება დემოკრატიულად ჩატარებული არჩევნების გზით შეცვალა, რის შემდეგაც ქვეყანა აღმშენებლობის გზას დაადგა.

აღდგა სამართლიანობა, დაისაჯნენ ის ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში სისხლს სწოვდნენ საქართველოს მოქალაქეებს.

განვითარდა ბიზნესი, რადგანაც წინა ხელისუფლების მიერ წართმეული საწარმოები დაუბრუნდათ კანონიერ მფლობელებს, ანუ იმ ადამიანებს, ვინც რეალურად ასაქმებდა ხალხს. ვინც ყველანაირად ავსებდა ბიუჯეტს.

ხალხის მსახურნი არ იშურებენ უკანასკნელ ძალასა და ენერგიას, რათა შეასრულონ ის დაპირებები, რაც მათ თავიანთ ამომრჩეველს მისცეს.

დ.ა.შ

დ.ა.შ“

„კარგი იუმორია“, არა?

არა მგონია, რადგანაც ყველა ვხედავთ, თუ რეალურად რა ხდება ჩვენს თავს და ძალიან ვთხოვ „ქართული ოცნების“ თავგადამკვდარ ფანებს, მაინცადამაინც ნუ შემეწინააღმდეგებიან:

რადგანაც პირველივე მაღაზიაში ვაჩვენებ გამყიდველის უჯრაში ჩადებულ ასფურცლიან რვეულს, რომელიც მევალეების სახელებით არის სავსე (და იქ პური, კვერცხი, მაწონი და მსგავსი აუცილებელი კვების პროდუქტებია ჩამოწერილი).

რადგანაც პირველივე ავტობუსში ვაჩვენებ იმ ადამიანებს, რომლებიც მგზავრობის ფულს ვერ („არ“ კი არა, „ვერ“) იხდიან.

რადგანაც ძალიან მცირე დროში ვაჩვენებ იმ ადამიანებს, რომლებიც უკანონოდ იყვნენ დაპატიმრებული, რომლებსაც აწამებდნენ და რომლებიც დღესაც თავიანთ ჯალათებს ისევ ძველ პოსტებზე ხედავენ.

იქვე ვაჩვენებ ადამიანებს, რომლებიც ბანკებმა გააამწარეს, გააღატაკეს და უკანასკნელი სარჩო-საბადებლის გარეშე დატოვეს.

ვაჩვენებ თავიანთ რჩეულთა ფოტოებს, რომლებმაც პარლამენტში „მოხვედრის“ შემდეგ ტელეფონის ნომრები შეცვალეს და ლარნახევრიანი „ფენოვანიდან“ ორმოცდაათლარიან სუშიზე „გადაინაცვლეს“.

არადა, სიმბოლურია, რომ პარლამენტის შენობა ინგრევა.

არა, მე ნამდვილად არ ვარ მისტიური დამთხვევების, ჰოროსკოპებში დაწერილი „წარმატებული დღეების“ და სხვადასხვა შამანურ-მოგვური მჩხიბავობის მიმდევარი, მაგრამ პარლამენტი ინგრევა.

ინგრევა ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით.

რომელიმე „ქართულად მეოცნებე“, ის, ვინც ჯერ არ დასაქმებულა, არადა, პირველ ოქტომბრამდე მართლაც რომ თავისი და საკუთარი ოჯახის წევრების სიცოცხლე ნამდვილად გადადებული ჰქონდა, მეტყვის:

— ცოტაც მოვიცადოთ, ოქტომბრის ბოლომდე და ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგებაო, **— არ დავუჯერებ. არ დავუჯერებ ორი მიზეზის გამო:**

როცა საუბრობენ, რომ პრობლემა მიხეილ სააკაშვილია და **მისი პრეზიდენტის პოსტიდან წასვლის შემთხვევაში ქვეყანა ნორმალურ განვითარებას დაიწყებს, არ მჯერა.** უკაცრავად, მაგრამ იუსტიციის მინისტრიც თქვენია, პოლიციის, ფინანსთა და საგარეო საქმეთა მინისტრებიც. სააკაშვილს კი უხეშად რომ ვთქვა, ტუალეტში შუქის დატოვების უფლებაც არა აქვს. ჰოდა მაშინ რატომაა ის, რომ... რატომაა ის, რომ..., რატომაა ის, რომ...

გავაგრძელო?

მეორე მიზეზი კი ის არის, რომ პარლამენტი ინგრევა! (კიდევ ერთხელ ვიტყვი, ინგრევა ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით).

ინგრევა, რადგანაც დეპუტატის, ხალხის რჩეულის მიერ 17 მაისის მოვლენების შესაფასებლად ნათქვამი ფრაზა: „დღეს მეც „უმცირესობის“ წარმომადგენელი ვარო“, „ჩოხა-ახალუხებისა“ და „ბუსუსებიანი“ პრეზერვატივების კანონების „ლიწინ-ლიწინით“ „გატანა“, „ნაც“, თუ „ახერ“-მოძის, როგორც ოპოზიციის ლიდერი ძალის „შენარჩუნებაზე“ ზრუნვა, ბიუჯეტის ვირთხებთან, მკვლელებთან, მოღალატეებთან და ათასი ჯურის ნაძირალასთან კოჰაბიტაცია უფრო ძლიერად ანგრევს პარლამენტს, ვიდრე „წყალტუბოდან ქუთაისისკენ მომავალი ქარი“ და მის მიერ გადახდილი სახურავი.

ანგრევს ის უზარმაზარი ხელფასები, რომლებიც მავანთა „სამსულიან ოჯახს ასე თუ ისე ყოფნის“, ხოლო მავანთათვის მართლაც უზარმაზარია.

ახლა არ მითხრათ, შრომის კოდექსზე ხომ ვიმუშავეთ, მალე ევროპული დონის გვექნება, ხალხი დასაქმდება და მათაც „უზარმაზარი შედეგი“ ექნებათო.

კარგით რა, კარგით რა. დაგვცინით?

რა შრომის კოდექსი და რის „დასაქმებულის უფლებები“?

რომელიმე პარლამენტარი თუ მაჩვენებს ერთ დასაქმებულს, რომელმაც ძლივს, ვიმეორებ — ძლივს — იშოვა სამსახური და დამსაქმებელს, კანონმდებლობით გათვალისწინებული „ევროპული შრომის პირობებზე“ შეუთანხმებლობის გამო, მიზერულ ხელფასზე უარს ეტყვის, პირველივე სახინკლეში დავპატიჟებ.

ზუსტად ასეთია „კანონშემოქმედებითი ღვწის“ სხვა ნაყოფებიც.

სამწუხაროდ, ასეთია და რადგანაც ამ მწარე რეალობის წინაშე ვდგავართ, ბევრს აღარ გავაგრძელებ.

არ ვილაპარაკებ იმ მართლაცდა სასიცოცხლო და ჩვენი მომავლისთვის საჭირბოროტო საკითხებზე, როგორიც ჰომოსექსუალიზმის შემოტევა, „ნატოსთან“ და რუსეთთან გაურკვეველი ურთიერთობა, გაუბედურებული კულტურა და განათლებაა.

არ ვილაპარაკებ, რადგანაც ჩვენს გაზეთში ამ თემებთან დაკავშირებით ძალიან ბევრი რამ იწერება და არ მინდა, განვმეორდე.

ასევე, არ მივმართავ ბატონ ბიძინას. არ მივმართავ იმიტომ, რომ ის ამ ყველაფერში ვერ ჩაერევა და ზოგ საკითხთან დაკავშირებით მისი ხისტი პოზიცია გარკვეული პოლიტიკური ძალების მიერ ინფორმაციის არასწორად მიწოდების ბრალია.

უბრალოდ ყველას გასაგონად ვიტყვი, რომ პარლამენტი ინგრევა!

ინგრევა და სანამ სეფა და იქ სკამებზე გადებულ ფიცრებზე ძაფით გადაჭიმული გაზეთები დაგვჭირვებია, დროზე მივხედოთ.

არადა, გინდა-არ გინდა, მაინც ჩვენი მისახედია!

გია გაბრიჭიძე

◎ პოზიცია

ქართველი მამლუქები ჰელმანდის ჯოჯოხეთში...

(მესამე ბოლოდან)

ჰოდა, იქნება მართლაც ჯობს, რომ ფაქტობრივად მარტოები ფორმალურადაც მარტონი დავრჩეთ რუსეთთან პირისპირ და იმ გამოცდილებით ვიურთიერთოთ რუსებთან, რაც 200 წლის მანძილზე დაგვიგროვდა? არ ვიცი, არა, მაგრამ იმას კი ვხედავ, რომ ამერიკელების ხელის შემყურე საქართველო შაგრენის ტყავივით პატარავდება და ისიც მახსოვს, რომ რუსეთთან ერთად ყოფნისას სოხუმ-ცხინვალი ერთიანი ქართული მართლმადიდებლური, ქართულენოვანი კულტურული სივრცის განუყოფელი ნაწილი იყო ყოველთვის!

„ჰელმანდიის“ ჯოჯოხეთობისა არ იყოს, მართლაც თეთრი მონებივით მსახურებენ ქართველი მამლუქები ავღანეთში! თუ არა და მაშინ თავდაცვის სამინისტროსგან მოვითხოვ, რომ შედარებისთვის გამოაქვეყნოს ჩვენი და ამერიკელი სამხედროების სახელფასო ანაზღაურების ციფრები — ერთი, რაც ვიცი, ამერიკელი რიგითი ჯარისკაცის დაღუპვის შემთხვევაში, მისი ოჯახი ერთდროულად 400 ათას დოლარს ღებულობს და დამატებით საშვილიშვილოდ უზრუნველყოფილები არიან კომუნალური თუ სხვა სოციალური სიკეთეებით!

ჰოდა, გამოაქვეყნონ და ვნახავთ, რომ ამერიკელები თეთრი მონების, ქართველი მამლუქების პრაქტიკულად მუქთად დამქირავებლები არიან და არა სტრატეგიული პარტნიორები, რადგან პარტნიორობა, უწინარესად, თანასწორობას ნიშნავს!

სხვათა შორის, ავღანეთში საბჭოთა ინტერვენციის დროს, ეს პირობა უმკაცრესად იყო დაცული: ქართველი, რუსი, სომეხი, მოკლედ ყველა მილეთი, ერთნაირ ანაზღაურებას ღებულობდა მკვდარიც და ცოცხალიც!

აქედან გამომდინარე, ვუყურებდი აეროპორტში ჩვენი საწყალი ბიჭების 7 კუბოს, რომელიც აშშ-ს სამხედრო თვითმფრინავით ჩამოვიდა თბილისში — საჰაერო კატაფალკას არ გვამადლიან! მაგრამ ამერიკის ელჩის სამძიმარმა, სწორედ ზემოთ აღნიშნული უთანასწორობის გამო, მადლიერების ნაცვლად, აღმაშფოთა, თანაც სიმამაცეს რომ გვიქებს ქართველებს მისტერ ნორლანდი და ამ დროს „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ლამის მორიდიორობაში სდებს ბრალს ჩვენს ჯარისკაცებს — ასეთია ხვედრი სხვისი ომების გმირებისა!..

ეპილოგის მაგივრად

1703 წელს, ირანის შაჰმა გიორგი XI-ს ქართლის მეფობა უბოძა. თუმცა, ბედის ირონიით, ერთი წამითაც არ ეღირსა ტახტზე ჯდომა, რადგან ქართლის მეფობასთან ერთად, ქირმანის, ყანდაჰარისა და გირშიკის ბეგლარბეგობაც „უწყალობა“ შაჰ-ჰუსეინმა, ანუ გამგებლობა და დამშვიდება დაავალა მუდმივად მოჯანყე ავღანური პროვინციებისა.

ჰოდა, „ქართლის მეფემაც“ განაგო და ცეცხლითა და მახვილით „დააშვიდა“ „საკუთარი საბეგლარბეგო“. იქამდეც კი, რომ ავღანთა წარკვეთილი თავებით აავსო იქაურობა, რადგან სხვა ენაზე საუბარი არ ესმოდათ თავისუფლებისმოყვარე, ავღანურ ტომებს, რომელთაგან ერთ-ერთის ბელადი იყო მამაცი მირ-ვეის, რომელიც ჯერ სასტიკად დაამარცხა გიორგი მეთერთმეტემ და შემდეგ ბორკილგაყრილი გაუგზავნა ისპაჰანში შაჰს, საიდანაც მირ-ვეისმა თავი დაიძვრინა და უფრო მეტიც, შაჰის ბრძანებით ყანდაჰარშივე გაუგზავნეს მეფე გიორგის მირვეისი. ამჯერად, როგორც თანამებრძოლი, გინდა მოადგილე.

ეს ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ ვერაგმა ავღანელმა ღალატით მოკლა მეფეც და მისი თანამებრძოლი ასობით ქართველიც ამოჟუჟეს ავღანელებმა. ასე აღესრულა საქართველოს ისტორიაში უკანასკნელი დიდი გიორგი (გიორგი მთაწმინდელის, გიორგი ჭყონდიდელის, გიორგი მესამის, გიორგი მეოთხე ლაშას, გიორგი ბრწყინვალისა და გიორგი სააკაძის შემდგომ) და ათასობით ქართველი, რომელთა საფლავებიც კი არ დარჩენილა უცხო მოწაზე.

ეს ამბავი 1709 წლის 21 აპრილს, დიდ ხუთშაბათს მოხდა. და მერე რა ამ გმირობით საქართველოს? ლევან სანიკიძე: **„განა ვინმეს გაეგებოდა (ან გაეგება?!), რომ მისი უებარი სიქველე და თავგანწირვა უმადურ „უცხო თესლთათვის“ უცხო მხარეში, მაინც დიდ მადლად გამოადგა მის ღვიძლ სამშობლო საქართველოს?! სწორედ მან წარმართა საქართველოს მოსისხლე სპარსეთის ხარბი თვალყური აღმოსავლეთ ირანისა და ავღანისტანისკენ, ხოლო მასვე ჟამს გიორგის ძმისწულმა, დიდმა მამულიშვილმა ვახტანგ მეექვსემ დრო იხელთა და ირანის ზურგს უკან მშობლიური ქართლი მკვდრეთით აღადგინა, ააღორძინა და ააყვავა.“**

მოგვიანებით ყმაწვილი პატარა კახიც იქნევდა ავღანეთში დავითფერულს ნადირ-შაჰის, ირანის უკანასკნელი დიდი ხელმწიფის გვერდით. მისდამი „ერთგულება“ კი საქართველოს იმაში წაადგა, რომ ერეკლე მეორე გაერთიანებულ ქართლ-კახეთის სამეფოს 120 წლის პაუზის შემდეგ, პირველ ქრისტიან მონარქად მოევლინა. საბოლოოდ კი, პატარა კახი უკანასკნელი დიდი ხელმწიფე აღმოჩნდა საქართველოს ისტორიაში!

როგორც ვნახეთ, ავღანეთშიც შესაძლებელი ყოფილა საქართველოსთვის ბრძოლა, მაგრამ დღევანდელი ვითარება აშკარად სხვაა და იქნებ დავფიქრდეთ, რას გვთავაზობენ თანამედროვე ამერიკელი შაჰ სულეიმან-ნადირ შაჰები უძვირფასესი ქართული სისხლის სანაცვლოდ?

დავით მხეიძე

P. S. ალბათ, შენიშნეთ, ამ ვრცელ წერილში ჩვენი ჯარისკაცები არსად მოიხსენებია გმირებად, რადგან სხვისი ომის გმირები არ არსებობენ! ამის დასტურად, წერილის ეპიგრაფს დავასრულებ სტრიქონებით, რომელიც რეზო ამაშუკელის ლექსიდან „მოვიპარე“:

„ნუ გინდა სხვისი შარავანდი,
ოქრო, დიდება,
რადგანაც თავი იმთავითვე
წაგებული გაქვს“...
დ. ბ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ შრომის კოდექსი

ახალ ურთიერთობათა ზღურბლთან?..

— საპარლამენტო უმრავლესობასა და უმცირესობას შორის მიღწეული კონსენსუსის შედეგად შევძელით ახალი შრომის კოდექსის მიღება, რომელიც ორივე მხარის — დამსაქმებლის და დასაქმებულის ინტერესებს ერთნაირად დაიცავს, — განაცხადა 12 ივნისს პარლამენტის სხდომის დასრულების შემდეგ ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ დიმიტრი ხუნდაძემ.

პარლამენტარის თქმით, მიღებულია ისეთი კოდექსი, რომელიც შრომით ურთიერთობათა ახალი, გაცილებით მეტად

თანასწორუფლებიანი, დაბალანსებული ეტაპის დაწყებას განაპირობებს.

შრომის კოდექსში ცვლილებები პარლამენტმა ორი დღის წინათ მესამე მოსმენით მიიღო, რასაც შესატან ცალკეულ ცვლილებათა მეორე მოსმენით კენჭისყრა უძღოდა წინ. აღსანიშნავია, რომ ორ წამყვან საპარლამენტო ძალას, კოალიცია „ქართულ ოცნებასა“ და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ფრაქციების დეპუტატებს შორის შეთანხმების მიღწევა საბოლოოდ მოხერხდა. შედეგად, შრომის კოდექსში შესატან ცვლილებებს მესამე მოსმენით მხარი დაუჭირა 91-მა დეპუტატმა, 26-მა დეპუტატმა კი — არა.

დიმიტრი ხუნდაძემ ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ აქამდე მოქმედი შრომის კოდექსი, არსებითად, დისკრიმინაციული იყო, რის შედეგად დასაქმებული კაცი დამსაქმებლის წინაშე სრულიად უსუსური იყო, მისი სამსახურიდან დათხოვნა ყოველგვარი მიზეზის არსებობისა და ამის თაობაზე განმარტების მიცემის გარეშე იყო შესაძლებელი. ეს უთანასწორობა შრომის კოდექსის ახალ რედაქციაში აღმოფხვრილია, თუმცა კი, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამიერიდან დასაქმებულ კაცს ერთგვარად „კარტ ბლანში“ აქვს: საკუთარი მოვალეობის პირნათლად და პროფესიულად მაღალ დონეზე შესრულება კვლავინდებურად ყველას ერთიანად მოეთხოვება, თუმცა კი, კაცის სამსახურიდან გათავისუფლება მხოლოდ დამაჯერებელი არგუმენტაციის არსებობის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი.

ჩვენი მხრივ აღვნიშნავთ, რომ მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ამიერიდან დამსაქმებელთა და დასაქმებულთა შორის შრომით ურთიერთობებს არა აქამდე დაკანონებული სამთვიანი ხელშეკრულებები განსაზღვრავს, რომელთა მიმართ წლების მანძილზე უამრავი პრეტენზია გამოითქმეოდა, არამედ გარკვეული რეგულირებით უვადო ხელშეკრულებები იმოქმედებს. ისინი დასაქმებულ პირთან მხოლოდ ბოლო 30 თვის, ანუ 2,5 წლის მანძილზე მოცემულ ადგილზე მუშაობის შემდეგ გაფორმდება.

მნიშვნელოვანია ასევე კოდექსში ის ცვლილება, რომელიც მუშაკის სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევაში ორი ტიპის რეგულაციას ითვალისწინებს. კერძოდ, დასაქმებული კაცის სამსახურიდან დათხოვნისას მისი ერთი თვით ადრე გაფრთხილების შემთხვევაში, მას ერთი თვის ხელფასი უნდა აუნაზღაურდეს, ხოლო თუ ადმინისტრაცია მუშაკს გათავისუფლების თაობაზე მხოლოდ სამი დღით ადრე გააფრთხილებს, ამ შემთხვევაში იგი ვალდებული იქნება, მას წინასწარ ორი თვის სახელფასო ანაზღაურება გადაუხადოს.

მოკლედ, შრომის კოდექსში კიდევ მრავალი სიახლეა, რომელთა გაცნობა, ვფიქრობთ, დამსაქმებელთათვისაც და უკვე დასაქმებულთა თუ სამუშაოს მაძიებელთა დიდ ყურადღებას გამოიწვევს, მისი მოქმედება კი საჯარო გამოქვეყნებისთანავე დაიწყება.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ალიან-ჩალიანი

რომელი მოსამართლეები შეეწირებიან „ელიტ ელექტრონიქსის“ საქმეს?

სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს ვალერი ცერცვაძეს რამდენიმე მოსამართლის წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების და კანონშესაბამისი რეაგირების წინადადებით მიმართა.

როგორც სახალხო დამცველის აპარატის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, საუბარია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ინგა კვაჭანტირაძეზე, ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლეებზე ჯუმბერ რუსიაშვილზე, ირაკლი შენგელიასა და ივანე ღლონტზე.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მოსამართლეებმა დაარღვიეს საქართველოს კანონმდებლობა და ჯეროვნად არ შეასრულეს მოსამართლის მოვალეობა. საქმე ეხება სააქციო საზოგადოება „ელიტ ელექტრონიქსში“ განხორციელებული საგადასახადო შემოწმების კანონიერებას.

როგორც სახალხო დამცველის განცხადებაშია ნათქვამი, 2013 წლის 4 თებერვალს სააქციო საზოგადოება „ელიტ ელექტრონიქსის“ ყოფილი დამფუძნებლის ანზორ ქოქოლაძის განცხადების საფუძველზე სახალხო დამცველის აპარატში დაიწყო საქმის წარმოება ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ 2007 წელს განხორციელებული საგადასახადო შემოწმების კანონიერების შესწავლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა შემდეგი გარემოებები:

2008 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ არ დააკმაყოფილა „ელიტ ელექტრონიქსის“ სარჩელი, რომელშიც „ელიტ ელექტრონიქსი“ საწარმოში ჩატარებული საგადასახადო შემოწმების არაკანონიერად ცნობას ითხოვდა. მოგვიანებით - 2009 წლის 29 მარტის განჩინებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ უცვლელად დატოვა აღნიშნულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება.

2008 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებაში მოსამართლე ინგა კვაჭანტირაძემ ზემოაღნიშნულ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით ზოგადად მიუთითა, რომ სასამართლო ვერ გაიზიარებდა მოსარჩელის მოსაზრებას საწარმოში ჩატარებული საგადასახადო შემოწმების უკანონობის თაობაზე იმ საფუძვლით, რომ შემოწმების დროს არ იყო მოსამართლის ბრძანება, ვინაიდან სააქციო საზოგადოების მიმართ არსებობდა წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე და საგადასახადო შემოწმება ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის დადგენილების საფუძველზე ჩატარდა.

სასამართლოს აზრით, საგადასახადო ორგანო არათუ უფლებამოსილი, არამედ ვალდებული იყო შეესრულებინა გამომძიებლის დადგენილება და საწარმოში ჩაეტარებინა საგადასახადო შემოწმება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საპროცესო დოკუმენტის საფუძველზე. ამასთანავე, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული კანონის მოქმედება არ ვრცელდებოდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მოქმედებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ სრულიად გაიზიარა პირველი ინსტანციის მოსაზრება საწარმოში ჩატარებული შემოწმების კანონიერების თაობაზე და მიუთითა, რომ მოსამართლის ბრძანების არარსებობა მეწარმის შემოწმების თაობაზე არ წარმოადგენდა საწინააღმდეგო დასკვნის გამოტანის საფუძველს.

საქართველოს საკანონმდებლო ბაზის მიხედვით, კანონმდებლობის არსებითი დარღვევის გამომვლენი ერთადერთი კომპეტენტური და უფლებამოსილი ორგანოა სასამართლო. შესაბამისად, სწორედ მოსამართლეებს ევალებოდათ, მათ მიერ გამოცემულ აქტში ემსჯელათ და დაესაბუთებინათ, თუ რატომ იყო საკმარისი საფუძველი საგადასახადო შემოწმებისათვის გამომძიებლის დადგენილება და რატომ არ იყო შემოწმების უფლების მოსაპოვებლად აუცილებელი მოსამართლის ბრძანების არსებობა. მით უმეტეს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსი იმპერატიულად ადგენს, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს თხოვნის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო მოსამართლის ბრძანებით მოიპოვებდა მეწარმეზე საგადასახადო კონტროლის უფლებას.

— ამდენად, მოსამართლეებმა არ იმსჯელეს ზემოაღნიშნულ საკითხებზე და შემოიფარგლენ მხოლოდ ზოგადი, მშრალი ჩანაწერებით. მართალია, მოსამართლეს ყველა საკითხზე მსჯელობა გადაწყვეტილებაში არ ევალება, მაგრამ ისეთ არსებით საკითხზე, რომელიც სასამართლო სხდომაზე დააფიქსირა მხარემ და როგორიცაა საგადასახადო შემოწმების დაწყების კანონიერება, მოსამართლეებს აუცილებლად ნათლად და დასაბუთებულად უნდა დაეფიქსირებინათ სასამართლოს პოზიცია.

სახალხო დამცველმა წინადადება და მის ხელთ არსებული მასალები საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს ვალერი ცერცვაძეს გადაუგზავნა, — ნათქვამია განცხადებაში.

ინტერპრესი

◎ უმაღლესი სკოლა

განა შეიძლება, ერთსა და იმავე უნივერსიტეტში თან სტუდენტი იყო და თან დეკანი?!

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის რიჩარდ ნორლანდის განცხადებით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღება, შეესაძლოა, სასარგებლო არ იყოს.

„ძალზე მნიშვნელოვანია, რომ აკადემიური და სამეცნიერო თავისუფლების პრინციპი უზრუნველყოფილი იყოს. მნიშვნელოვანია, კანონპროექტების განხილვა და მიღება, მაგრამ შესაძლოა, არ იყოს სასარგებლო ამ ნაბიჯების სწრაფად გადადგმა იმის გასააზრებლად, თუ რა შედეგი მოჰყვება ამას აკადემიური და სამეცნიერო თავისუფლებისთვის“, — განაცხადა ნორლანდმა.

შეგახსენებთ, საქმე ეხება „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებს, რომლებიც მმართველმა გუნდმა წარმოადგინა და რომელსაც პარლამენტი განიხილავს. კანონპროექტის მიხედვით, **„უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორობის კანდიდატად შეიძლება განისაზღვროს პირი, რომელიც ფლობს დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს და აკმაყოფილებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრულ პირობებს“.**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე დავით ზურაბიშვილი for.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით აურზაური სულ ტყუილად არის ატეხილი, რადგან, მისი თქმით, სანამ ამ ცვლილებების პარლამენტში ინიცირება მოხდებოდა, განათლების სამინისტროს წარმომადგენლებს ყველა უმაღლეს სასწავლებელში ჰქონდათ შეხვედრები და ყველას განუმარტეს, რას აპირებდა ხელისუფლება. მინისტრის მოადგილე განმარტავს, რომ გარდამავალ პერიოდში, სანამ უმაღლეს სასწავლებლებში ახალი რექტორები დაინიშნებიან, არ შეიცვლებიან რექტორები და მოვალეობის შემსრულებლებად კვლავ მოქმედი რექტორები დარჩებიან.

„ამ ცვლილებებით ასევე არანაირად არ მოხდება უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიის შეზღუდვა. უფრო მეტიც, ჩვენ მზად ვართ, კანონპროექტში ავსახოთ ის წინადადებები, რაც ჩვენს ოპონენტებს ჰქონდათ. საუბარი იყო ისეთ საკითხებზე, რაც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის პირობებში უმაღლესი სასწავლებლის მეტი ავტონომიის უზრუნველყოფას ემსახურებოდა, მაგალითად, ქონების განკარგვა, საკუთრების უფლება და ა.შ. და ჩვენ მზად ვართ, ეს წინადადებები გავიზიაროთ“, — აცხადებს დავით ზურაბიშვილი.

კანონპროექტმა საპარლამენტო უმცირესობის კრიტიკა დაიმსახურა. „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი გიორგი კანდელაკი აცხადებს, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საკანონმდებლო ინიციატივა ნაკარნახევია პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის სურვილით, რომ დაამყაროს პოლიტიკური კონტროლი აკადემიურ სფეროზე. მისი თქმით, პრემიერ-მინიტრი მოითხოვს სახელმწიფო უნივერსიტეტების რექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას, რითაც, ფაქტობრივად, სრულიად უქმდება სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების ავტონომია.

გიორგი კანდელაკი ამბობს, რომ ცვლილებების პაკეტით, დოქტორანტებს ერთმევათ შესაძლებლობა დაიკავონ ასისტენტ-პროფესორის თანამდებობა, რის შედეგადაც ასეულობით კვალიფიცირებული ახალგაზრდა მეცნიერსა და მკვლევარს მოუწევს პედაგოგიური საქმიანობის მნიშვნელოვნად შეზღუდვა.

დავით ზურაბიშვილი კანდელაკის განცხადებებს სიცრუეს უწოდებს და ამბობს, რომ დეპუტატი უბრალოდ ვერ ერკვევა იმაში, რაზეც საუბრობს. მინისტრის მოადგილე განმარტავს, რომ კანონში შესატანი ცვლილება მხოლოდ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებს ეხება და თუ ვინმეს ეშინია, რომ ბენდუქიძის „თავისუფალ უნივერსიტეტს“ შეეხება, ეს ასე არ იქნება და „თავისუფალ უნივერსიტეტში“ ვინც უნდათ, შეუძლიათ ის დანიშნოთ რექტორადაც და დეკანებადაც.

„რაც შეეხება სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებს, დიახ მეც სწორად მიმაჩნია, რომ დეკანს (რომელიც განსაზღვრავს ფაკულტეტის აკადემიურ კურსს, კურიკულუმს და ა.შ.) უნდა ჰქონდეს აკადემიური ხარისხი, ისევე, როგორც სასწავლებლის რექტორს. ეს არის მსოფლიო პრაქტიკა და ამაში განსაკუთრებული არაფერია.

იხ. 7 გვ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ვითარება

პრეზიდენტი პროექტს ხელს არ აწერს,

იშხნის განადგურება კი ივანიშვილს დაბრალდება

ძვეძნის ფარგლებს გარეთ ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა თუ ასე გაგრძელდა, ბიძინა ივანიშვილის სახელი ისევე იქნება ასოცირებული იშხნის ტაძრის პირვანდელი სახის დაკარგვასთან და გაუბედურებასთან. როგორც მიხეილ სააკაშვილის სახელი ასოცირდება ბაგრატის ტაძრის პირვანდელი სახის მოსპობასთან. როცა გავიხსენებთ, პრემიერ-მინისტრობამდე ქველმოქმედების სახით ივანიშვილმა როგორ აღადგინა 500-მდე ტაძარი, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, იქვე მოვიყვანთ იშხნის მაგალითს, რომელმაც ივანიშვილის ხელისუფლების უნიათობის გამო პირვანდელი სახე დაკარგა. მაშინ აღარ გაგვახსენდება არც მაია ფანჯიკიძე, არც გურამ ოდიშარია და არც მარინე მიზანდარი — ვიტყვით იმას, რომ ივანიშვილის ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა პატრიარქის წინადადებები და თურქეთის ანაბარა დატოვა იქ არსებული ქართული ტაძრები — მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობა.

დღეს იშხანზე მიმდინარე სამუშაოებთან დაკავშირებით მედიასაშუალებებით გავრცელებული საგანგაშო ფოტომასალისა და ინფორმაციის მიხედვით, ტაძარზე სამუშაოები ყოველგვარი ნორმებისა და წესების დარღვევით, დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს, რაზეც საქართველოს ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურების პოზიცია რბილად, რომ ვთქვათ, არაადეკვატურია - სააკაშვილის ადმინისტრაცია ხელშეკრულების პროექტს კულტურის სამინისტროს არ უბრუნებს, თურქეთის ხელისუფლებას გასაცნობად, რომ გადაუგზავნოს. თავის მხრივ, კულტურის სამინისტრო მედიას სთხოვს სააკაშვილის ადმინისტრაციასთან შუამდგომლობას, ნაცვლად იმისა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად ახლა მაინც გამოიყენოს ის ბერკეტები, რაც იშხანზე მიმდინარე საგანგაშო სამუშაოებს ამ ეტაპზე გააჩერებს.

კულტურის სამინისტროსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიცია, უფრო სწორად უმოქმედობა, ჩემი აზრით, კულტურული მემკვიდრეობის წინაშე ჩადენილ დანაშაულს უთანაბრდება, მაშინ, როცა არსებობს ბერკეტები, რომელთა გამოყენება მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლების გადასარჩენად შეიძლება, მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლების მსგავსად არ იყენებენ.

როცა უსვამ კითხვას, მაგალითად, რატომ არ ხელმძღვანელობთ ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციით? თურქეთი ხომ ევროსაბჭოს წევრი ქვეყანაა და თუ ჩვენ გვახსენებენ ამა თუ იმ ვალდებულებას, რატომ არ უნდა მოეთხოვოს თურქეთს ზემოხსენებული კონვენციით ქართული ტაძრების დაცვა, მოვლა? ამაზე კულტურის მინისტრის პირველ მოადგილეს მარინე მიზანდარს ასეთი პასუხი აქვს:

„და, რას იზამთ, სასამართლოში უჩივლებთ და 5 წელი დაელოდებით?! ამასობაში აღარც ოშკი იქნება და აღარც იშხანი. ძველ თბილისში, ჩვენს ცხვირწინ კლდის უბანი რომ დაინგრა, ჩაბეტონდა და ბულდოზერებით და ტრაქტორებით რომ გადაუარეს ჩვენივე კულტურულ მემკვიდრეობას, დავიცავით?! ჩვენც გვაქვს ვალდებულებები და გავაკეთეთ რამე?! ამიტომ ვამბობ, რომ კეთილი ნება ძალიან მნიშვნელოვანია“.

პრობლემა მხოლოდ მარინა მიზანდარში რომ იყოს, ალბათ, ადვილად მოევლებოდა, მაგრამ საქმე უფრო რთულადაა — არც კულტურის მინისტრი, არც საგარეო საქმეთა მინისტრი და მისი მოადგილეები კრინტს არ ძრავენ და თითს არ ანძრევენ იმისთვის, რომ თურქეთის საქართველოში არსებული მსოფლიო მნიშვნელობის ქართული ტაძრები დიპლომატიური არხების, საერთაშორისო მექანიზმების — იუნესკოს, ევროსაბჭოს საშუალებით აღდგეს და არ ვიყოთ დამოკიდებული თურქეთის „კეთილ ნებაზე“.

ცოტაც და კულტურისა და საგარეო საქმეთა სამინისტროები გამოგვიცხადებენ — ბათუმში მეჩეთის აშენებას რომ ეწინააღმდეგებით, თურქეთში ქართული ტაძრები მაგის გამო ისპობა, ჩვენ არაფერ შუაში ვართო.

„ისტორიულ ტაო-კლარჯეთში იშხნის ტაძარზე მიმდინარე სამუშაოები თურქულმა სამშენებლო კომპანიამ, შესაძლოა, აგვისტოს თვეში დაასრულოს“, — ეს ინფორმაცია სააგენტო „ინტერპრესნიუსმა“ გაავრცელა, კავკასიის უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის აკადემიური პროგრამების მენეჯერ ლევან წიქარიშვილზე დაყრდნობით, რომელიც ამავე სააგენტოს ცნობით, თურქეთში ყოველ კვირა ჩადის და იშხანზე მიმდინარე სამუშაოებს თვალს ადევნებს.

წიქარიშვილი აცხადებს, რომ ქართველი სპეციალისტების მონაწილეობის გარეშე იშხანზე აღდგენითი სამუშაოები სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და ყველაფერი საკმაოდ უხეშად სრულდება. კვირიდან კვირამდე ტაძარზე განხორციელებული ცვლილებების დაფიქსირება მან მხოლოდ შორიდან შეძლო, რადგან ტაძარი შემოფარგლულია და ეზოს ტერიტორიაზე შესვლის უფლება ტურისტებს არ აქვთ.

მისივე თქმით, სამშენებლო სამუშაოების ტემპები იმდენად სწრაფია, რომ გურგენისეული მცირე ეკლესიის ორი კედელი უკვე აშენებულია. წიქარიშვილმა ადგილობრივი მოსახლეობისგან იცის, რომ შესაძლოა, სამუშაოები რეკომენდირებული 400 დღის ნაცვლად აგვისტოში დასრულდეს.

რადგან კულტურული მემკვიდრეობის საკითხი მინისტრის პირველ მოადგილეს მარინე მიზანდარს აბარია, მან სპეციალური პრესკონფერენცია გამართა და კიდევ ერთხელ თქვა, რომ ყველაფერი თურქეთის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

„კულტურული მემკვიდრეობის სფეროში თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმებამდე იშხანზე მიმდინარე სამუშაოების შეჩერება ძალიან რთული იქნება“.

მიზანდარის განმარტებით, თურქეთის კულტურისა და ტურიზმის სამინისტრო დათმობაზე მრავალჯერ წამოვიდა და რომ ახლა, ჩარჩო-ხელშეკრულების გაფორმებამდე თურქეთის კეთილ ნებაზე ვართ დამოკიდებული.

მისივე თქმით, ქართველ და თურქ ექსპერტებს შორის აქტიური მიმოწერა, მეთოდოლოგიური მუშაობა მიდის, მაგრამ ამას არ აქვს ოფიციალური მხარე და ეს ფაქტი უკან გვწევს.

მიზანდარის განცხადებით, იშხანზე ძეგლთა დაცვითი მეთოდოლოგიის დარღვევის საფრთხე არსებობს და მსგავსი მაგალითები საქართველოშიც ყოფილა. მან დაასახელა ბაგრატი, ზემო კრიხი, „ახმედიეს მეჩეთი“ და სხვა ძეგლები, სადაც მსგავსი დარღვევები მოხდა. კულტურის მინისტრის მოადგილემ ითხოვა მედიისგან, უშუამდგომლონ პრეზიდენტთან, რათა პრეზიდენტის ადმინისტრაციისგან კულტურის სამინისტრომ პროექტზე პასუხი მიიღოს.

მიზანდარმა აღნიშნა, რომ კულტურული მემკვიდრეობის სფეროში თანამშრომლობის დოკუმენტმა უწყებათაშორისი კონსულტაციის პროცესი თურქეთშიც უნდა გაიაროს.

საქართველოსა და თურქეთში საერთო კულტურის ძეგლების რესტავრაციის პროექტს პრეზიდენტი ხელს არ აწერს.

„პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ პროექტი რაბათზე ცვლილებების განხორციელებას ითვალისწინებს, რომელიც არა თურქული მხარის, არამედ საქართველოს კულტურის სამინისტროს ინიციატივაა.

თურქეთში ქართველი სპეციალისტები იშხნის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე მხოლოდ ორ ქვეყანას შორის ჩარჩო-ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დაიშვებიან. თურქეთის მხარე რაბათში არსებულ მეჩეთის გუმბათის ოქროსფერის, ასევე ცხაურების და აბანოს კომპლექსის რეაბილიტაციას ითხოვს“, — ნათქვამია „ინტერპრესნიუსის“ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ნინო მიქიაშვილი

◎ ხალხის აზრი

„თუ მამაკაცის მამაკაცზე ქორწინება უნდა დავუშვათ, ზოოფილიას რას ვერჩით?“

***ჰომოფობიასთან** და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში 2004 წლიდან აღინიშნება. ეს არის საინფორმაციო კომპანია, რითაც ყურადღებას ამახვილებენ ჰომოსექსუალი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების დისკრიმინაციის პრობლემებზე. ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე ოფიციალურად აღიარეს ბელგიის, მექსიკის, ესპანეთის, საფრანგეთის, ნიდერლანდების ქვეყნებმა, იგი აღიარა ევროპის პარლამენტმაც. ჰომოფობია — ეს არის უსაფუძვლო შიში, განდგომა ან დისკრიმინაცია ჰომოსექსუალობისა და ჰომოსექსუალების მიმართ.*

ასეთი აქცია საქართველოშიც ჩატარდა. ორგანიზატორთა განცხადებით ის მდუმარე უნდა ყოფილიყო და მხოლოდ ოც წუთს უნდა გაგრძელებულიყო. აქციის მონაწილეებმა აქცია ყოფილი პარლამენტის შენობის წინ ფლეშმობის სახით ჩაატარეს. ჩვენი საზოგადოებისთვის მიუღებელი იყო მსგავსი აქციის ჩატარება საქართველოში, რის გამოც მათ წინააღმდეგ საზოგადოების დიდი ნაწილი გამოვიდა, მათ შორის სასულიერო პირები. ეს გახდა მიზეზი შემდეგი აქციისა „თეოკრატიის“ წინააღმდეგ დედაენის ბაღში (თეოკრატია — ეს არის მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც პოლიტიკური ძალაუფლება სამღვდელოებას ეკუთვნის).

რას ფიქრობს ამ ფაქტებთან დაკავშირებით ხალხი?

გია ენუძიძე, ისტორიკოსი, თბილისის 82-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი: ალენ დალესი იყო აშშ სახელმწიფო მდივანი, რომელსაც აქვს თეორია, რომელშიც პირდაპირ ეწერა, რომ უნდა ავურიოთ ღვთისნიერი სექსუალური წესრიგი, ის მერე ხდება ცხოველივით ადვილი სამართავი. იმიტომ, რომ ის ადამიანი აღარ არის, ის იბნევა.

მღვდლები ომიანობის პერიოდში ანაფორებს იხდიდნენ, იცვამდნენ აბჯარს და ომობდნენ. თორნიკე ერისთავი მაინც არ გაგიგიათ, ხალხო? ის მღვდელი როგორ შეხედავს მრევლს თვალებში, რომელიც არაფერს არ იტყვის და არ გამოთქვამს თავის აზრს ამ უმსგავსობასთან დაკავშირებით.

დაამატონ მაშინ ნეკროფილია, ზოოფილია. ხომ არსებობენ ნეკროფილები, ხომ არსებობენ ზოოფილები. რატომ ზოოფილების უფლებებს არ ვიცავთ? თუ მამაკაცის მამაკაცზე ქორწინება უნდა დავუშვათ, რატომ არ უნდა დავაქორწინოთ ადამიანი ცხენზე? რა არის ამაში ისეთი, ცხენი ხომ ადამიანის მეგობარია?

თბილისში ერთ-ერთ ქუჩაზე არის მათი ბარი, როდესმე შევარდნილა მათთან ვინმე და უთქვამს, რატომ ხართ აქ, გადით და მოშორდითო? არ ყოფილა ასეთი შემთხვევა. ყველამ იცის, რომ ის არის ცისფერების ბარი. ამის რეკლამირებას ნუ აკეთებენ! დილით რომელიმეს ნუ მოუვა აზრად, რომ იკითხოს, დღეს წავიდე შიშველი თუ არ წავიდე? კონსტიტუციაში წერია, რომ შიშველი სიარული არ შეიძლებაო? არ წერია ასეთი აკრძალვა, მაგრამ არსებობს მორალი, რომელიც ამას კრძალავს.

ჰკითხეთ ერთი ვინმეს, წვერ-ულვაშიანი ვახტანგა უნდა რძლად? წინსაფრიანი ვახტანგა რომ გამოუცხობს ხაჭაპურს, უნდათ? მაინტერესებს, ძალად დამცველები რომ გამოდიან, ჰკითხეთ ერთი.

ეკატერინე დადიანმა შავი ჩაიცვა, ქართველი კაცი ქურდობისთვის რომ გაასამართლეს. დღეს? რუსეთში ყველაზე მეტი ქურდი და კრიმინალური ავტორიტეტი ქართველია. ქართველი გეი გახდა ევროპაში... რატომ მაჩვენებ ამას, სხვა არაფერი ხდება ევროპაში? რაც ნაკლებს ვისაუბრეთ ამაზე, მით უკეთესი, ეს ჩემი რჩევაა. ისტორიაში რომ შესულიყო, ჰეროსტრატემ დაწვა არტემიდეს ტაძარი. ორი საუკუნე საბერძნეთში აკრძალული იყო ჰეროსტრატეს ხსენება, ისტორიაში რომ არ შესულიყო. ხომ შევიდა? ანუ ანტირეკლამაც ხომ რეკლამაა?

თამთა კუპრაძე, ჯავახიშვილის უნივერსიტეტის მე-3 კურსის სტუდენტი: 17 მაისს აქციაზე მეც ვიყავი. ჯგუფელებთან ერთად ჩავედით უნივერსიტეტიდან, ძალიან გამიხარდა, თავისუფლების მოედანი სავსე იყო ხალხით. სიამაყე ვიგრძენი, იმიტომ კი არა, რომ ეს ხალხი სექსუალური აღვირახსნილობის პროპაგანდის წინააღმდეგ გამოდიოდა, იმიტომ, რომ აქ მყოფი ადამიანები მშვიდობიანი თუ აგრესიული ფორმით მაინც თავიანთი სამშობლოს მომავალზე ზრუნავდნენ, იმ საშინელ სიცხეში, იქ სამშობლოს ღირსების დასაცავად იდგნენ.

იხ. 9 გვ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ მოსამართლეთა კონფერენცია

კუბლაშვილმა თავისი გაიტანა

მოსამართლეთა რიგგარეშე კონფერენციამ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრები აირჩია. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა არჩევნების მეორე ტურში, ხმათა უმრავლესობით, ვაკანტური ადგილები შემდეგმა კანდიდატებმა დაიკავეს: უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ლევან მურუსიძე(159 ხმა); უზენაესი სასამართლოს მოსამართლე პაატა სილაგაძე (146 ხმა); თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ილონა თოდუა(153 ხმა); სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე თამარ ალანია (129 ხმა).

რაც შეეხება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში პალატისა და კოლეგიის თავმჯდომარეებისთვის განსაზღვრულ ადგილებს, აქ ხმათა უმრავლესობით გავიდნენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარე მერაბ გაბინაშვილი(168 ხმა) და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარემ შოთა გეწაძე(132 ხმა). პირველივე ტურში გაიმარჯვა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარე ზაზა მეიშვილმა. ამასთანავე, იუსტიციის საბჭოს შემადგენლობაში რჩებიან გიორგი შავლიაშვილი და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი, რომელიც საბჭოს ხელმძღვანელია.

მოსამართლეთა კონფერენციას და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების არჩევას არასამთავრობო ორგანიზაციები აკვირდებოდნენ. ერთ-ერთი დამკვირვებლის, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარის კახა კოჟორიძის თქმით, მოსამართლეთა კონფერენცია ცხადყოფს, რომ მოსამართლეები მათთვის მინიჭებული თავისუფლებებით ვერ სარგებლობენ. ამის დასტურად კოჟორიძემ ის ფაქტი მოიყვანა, რომ მოსამართლეებმა მხარი არ დაუჭირეს დღის წესრიგის ცვლილებას და მათ ურჩევნიათ დღეს წესრიგი სხვამ შეუდგინოს. **კოჟორიძემ მოსამართლეები იმ ჩიტებს შეადარა, რომელთაც გალია გაუსსნეს, თუმცა, ისინი მაინც არ მიფრინავენ.**

აღსანიშნავია, რომ სასამართლო რეფორმას, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესის შეცვლასა და საბჭოს ახალი წევრებით დაკომპლექტებას ითვალისწინებს, მთელი საზოგადოება დიდი ყურადღებით ადევნებს თვალს. სასამართლო სისტემაში ცვლილებები რომ აუცილებელია, ამას ცხადყოფს ის სასამართლო პროცესები, რომლებიც წინა ხელისუფლების მაღალჩინოსანთა საქმეებთან დაკავშირებით იმართება. დიდი მოლოდინი იყო მოსახლეობაში სასამართლო რეფორმის მიმართ, თუმცა, რა შედეგს მივიღებთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების არჩევის შემდეგ, ამის განჭვრეტა არც ისე რთულია.

ფაქტია, რომ პირველივე ტურში გაიმარჯვა იმ კანდიდატმა (ზაზა მეიშვილმა), რომელიც წლების განმავლობაში კოტე კუბლაშვილის მარჯვენა ხელი და უსიტყვო შემსრულებელი იყო. ამ ფაქტით მოსამართლეების განწყობის შესახებ უკვე ბევრი ითქვა. მეიშვილის არჩევით გაოცებული დარჩა იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანიც. მისი თქმით, გასაოცარია, რომ მოსამართლეთა კონფერენციამ იუსტიციის საბჭოში ყველაზე ოდიოზური ფიგურა უპრობლემოდ, პირველივე ტურში აირჩია.

უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე მერაბ ტურავა აცხადებს, რომ მოსამართლეთა კონფერენცია იმის გამოხატულებაა, როგორიც დღევანდელი სასამართლო ხელისუფლებაა. მისი თქმით, კონფერენციაზე ნათელი იყო ორი ძალის ჭიდილი. კერძოდ, ერთ მხარეს იყვნენ მოსამართლეები, რომლებიც სასამართლო რეფორმის მომხრეები არიან, ხოლო მეორე მხარეს არის აბსოლუტურად მორჩილი უმრავლესობა. ტურავა ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც სასამართლო პროკურატურის გავლენისგან განთავისუფლდა და ახალი ხელისუფლებისგან მიიღო უფლება, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები თავად აერჩია და სასამართლო ხელისუფლების ბედი განესაზღვრათ, 61-მა მოსამართლემ დღევანდელი ვითარება კარგად გაითავისა, ხოლო 190-მა მოსამართლემ ისევ მორჩილებაში ყოფნა აირჩია.

მერაბ ტურავას თქმით, მოსამართლეთა კონფერენციამდე კოტე კუბლაშვილი ხვდებოდა მოსამართლეებს და ჰპირდებოდა, რომ თუკი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მისთვის სასურველი კანდიდატები იქნებოდნენ არჩეულები, მოსამართლეებს მათ მიერ მიღებული უკანონო გადაწყვეტილებებისთვის პასუხს არავინ მოსთხოვს, პირიქით, მათ ხელფასებს გაუზრდიან და სამუდამოდ დაამტკიცებენ ამ თანამდებობებზე. ყოფილი მოსამართლე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებად არჩეულ მოსამართლეებსაც ახასიათებს.

„შოთა გეწაძე არის ის ადამიანი, რომელმაც წინა ხელისუფლების პოლიტიკური დაკვეთა ბრწყინვალედ შეასრულა და ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობაზე უარი უთხრა. ზაზა მეიშვილი ის პიროვნებაა, რომელმაც სულხან მოლაშვილის წამებაზე თვალი დახუჭა და გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა. ლევან მურუსიძე კი ის მოსამართლეა, რომელმაც მე, ნინო გვენეტაძე, თამარ ლალიაშვილი და მურმან ისაევი (ე.წ. მეამბოხე მოსამართლეებს, როგორც ამას ჟურნალისტები გვიწოდებენ) წინა ხელისუფლების დაკვეთის შესაბამისად, სასამართლო ხელისუფლებას ჩამოგვაცილა“, — ამბობს მერაბ ტურავა.

იგი ხაზს უსვამს იმასაც, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებად ღირსეული მოსამართლეები იყვნენ წარდგენილები, მაგრამ მათ ხმების მოგროვება ვერ შეძლეს. ამიტომ ტურავა მიიჩნევს, რომ მოსამართლეთა კონფერენციაზე კოტე კუბლაშვილმა წინასწარ იცოდა, რომ მისთვის სასურველი კანდიდატები გაიმარჯვებდნენ.

პოლიტიკური ექსპერტი კახი კახიშვილი მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ კოორდინირებული მუშაობა დააკლო მოსამართლეთა კონფერენციის მოსამზადებელ სამუშაოებს. ამასთანავე, კახიშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ კოტე კუბლაშვილმა მოახდინა კანონის არასწორი ინტერპრეტაცია. კერძოდ, საუბარია იმ სამ კვოტაზე, სადაც კოლეგიის და პალატების თავმჯდომარეების გარდა, რიგით მოსამართლეებსაც შეეძლოთ კენჭი ეყარათ, მაგრამ კუბლაშვილმა განაცხადა, თითქოს, ეს კვოტა მხოლოდ პალატების და კოლეგიების თავმჯდომარეებისთვის იყო განკუთვნილი. ექსპერტი ფიქრობს, რომ კონფერენცია კუბლაშვილის მიერ კარგად იყო ორგანიზებული, რაზეც მაღალი კვორუმი მეტყველებს. **კახიშვილიც აღნიშნავს, რომ კონფერენციამდე კოტე კუბლაშვილი მოსამართლეებს ხვდებოდა და აშინებდა მათ, რომ თუ მისთვის სასურველ კანდიდატებს არ დაუჭერდნენ მხარს, მათ იმ უკანონო გადაწყვეტილებებზე მოუწევდათ პასუხისგება, რაც წლების განმავლობაში აქვთ გამოტანილი.**

კახა კახიშვილის თქმით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არჩეული შვიდივე მოსამართლე კოტე კუბლაშვილის მორჩილი პირები არიან. საბჭოს ორი წევრი არის კუბლაშვილი და შავლიაშვილი (საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე), პარლამენტმა კიდევ საბჭოს 6 წევრი საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან უნდა აირჩიოს, საიდანაც კახიშვილის თქმით, „ქართულ ოცნებას“ უმცირესობის მიერ წარგენილი ორი კანდიდატის არჩევა მოუწევს და ამიტომ ექსპერტი ამბობს, რომ საბჭოს ასეთი შემადგენლობით ყოფნას უბრალოდ აზრი ეკარგება, რადგან იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გადაწყვეტილება უმრავლესობით მიიღება, უმრავლესობა კი კუბლაშვილს ეყოლება.

მისი თქმით, კოტე კუბლაშვილი მოსამართლეთა კონფერენციაზე ვითარებას სრულად აკონტროლებდა, რითაც მან ძალის დემონსტრირება მოახდინა. ამით კი მოსამართლეები, რომლებიც მერყეობდნენ და ფიქრობდნენ, რომ თუ კუბლაშვილი შესუსტდებოდა, მისი გუნდიდან გავიდოდნენ, ახლა ეს მოსამართლეები, სავარაუდოდ, ისევ კოტე კუბლაშვილის გავლენის ქვეშ მოექცევიან.

რუსიკო უშიკიშვილი

◎ უმაღლესი სკოლა

განა შეიძლება, ერთსა და იმავე უნივერსიტეტში თან სტუდენტი იყო და თან დეკანი?!

(მეხუთე გვერდიდან) **პრეზიდენტის ადმინისტრაციის ამჟამინდელი უფროსი ანდრო ბარნოვი თავის დროზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანი იყო და, ამავდროულად, იყო ამავე სასწავლებლის დოქტორანტურის სტუდენტი. ხომ არ შეიძლება ერთსა და იმავე უნივერსიტეტში თან სტუდენტი იყო და თან დეკანი?!“,** — აღნიშნავს დავით ზურაბიშვილი.

მისი თქმით, სწორედ ეს არ არის ნორმალური ვითარება, თორემ ის, რომ დეკანი და რექტორი აკადემიური ხარისხის მქონენი უნდა იყვნენ, სრულიად ნორმალურია. ზურაბიშვილის განმარტებით, ტყუილია გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს უნივერსიტეტებში ლექციებს ვერ წაიკითხავენ ადამიანები, ვისაც სადოქტორო არ აქვს დაცული. მინისტრის მოადგილე ამბობს, რომ ლექციების წაკითხვასთან ამას კავშირი არ აქვს და თვითონაც ისე კითხულობს ლეციებს, რომ სადოქტორო არ აქვს დაცული.

ექსპერტი განათლების საკითხებში, დავით თამარაშვილი მიიჩნევს, რომ სასურველია, უმაღლესი სასწავლებლის რექტორი აკადემიური ხარისხის მქონე იყოს, რათა უნივერსიტეტის რიგითი თანამშრომლისგან განსხვავდებოდეს. ექსპერტი ამბობს, რომ ნაციონალებმა ეს თანამდებობები ჩვეულებრივი მენეჯერის დონემდე დაიყვანეს, რის შედეგადაც განათლების ხარისხი მკვეთრად დაეცა, თუმცა, როცა რექტორები აკადემიური ხარისხის მქონენი იყვნენ, არც მაშინ იყო განათლების ხარისხი ძალიან მაღალი. დავით თამარაშვილის თქმით, მთლიანად განათლების სისტემა ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ცოდნის ხარისხი და სამეცნიერო კვლევების ხაზი იყოს უზრუნველყოფილი.

„თუკი კანონში ჩაიწერა, რომ რექტორი აკადემიური ხარისხის მქონე უნდა იყოს, ეს კარგია, თუმცა, ესეც არ არის საკმარისი. საჭიროა, სისტემური მიდგომა, რასაც ითვალისწინებს უმაღლესი განათლების და მეცნიერების რეფორმის კონცეფცია, რომელიც გია დვალმა და მისმა ჯგუფმა შეიმუშავეს“, — აღნიშნავს ექსპერტი.

პოლიტიკური ექსპერტი მარინა მუსხელიშვილი აცხადებს, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებს აპროტესტებენ ის ადამიანები, რომლებიც რექტორებად წინა ხელისუფლების პირობებში დაინიშნენ და ვინაიდან სამსახურის დაკარგვის შიში აქვთ, ცდილობენ, განათლების სფეროში გასატარებელ რეფორმებს შეეწინააღმდეგონ. მუსხელიშვილი უნამუსოს უწოდებს ამ ადამიანების ქცევას, როდესაც ისინი ამბობენ, რომ ამ ცვლილებებით უმაღლესი სასწავლებლების ავტონომია შეიზღუდება.

„პირიქით, სწორედ ეს ადამიანები იყვნენ, ვინც აკონტროლებდნენ უნივერსიტეტებს, ზღუდავდნენ უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიას და საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ დღეს უნივერსიტეტებში ნორმალური, თავისუფალი აკადემიური სივრცე აღარ არსებობს“, — აცხადებს მარინა მუსხელიშვილი.

მისი თქმით, თუკი ვინმეს მიაჩნია, რომ პრემიერ-მინისტრის მიერ რექტორის დანიშვნა პრობლემაა და, რომ უნივერსიტეტების ავტონომიის დასაცავად რექტორები არჩეულები უნდა იყვნენ, მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ ამ მდგომარეობის მისაღწევად თავად უნივერსიტეტებში არის გარკვეული ცვლილებები გასატარებელი. ექსპერტი ამბობს, რომ არ შეიძლება ადამიანი, რომელიც, ფაქტობრივად, განსაზღვრავს, ვინ იმუშავებს უნივერსიტეტში, შემდეგ იმ ადამიანების მიერ იყოს არჩეული, ვინც მან სამსახურში აიყვანა. ამიტომ მარინა მუსხელიშვილი მიიჩნევს, რომ რექტორების არჩევით უნივერსიტეტების ავტონომია ვერ იქნება უზრუნველყოფილი. მისი თქმით, რექტორები, რომლებიც უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში უნივერსიტეტებს მართავდნენ, ფაქტობრივად, განსაზღვავდნენ იმას, თუ ვის შეეძლო და ვის არ შეეძლო უნივერსიტეტებში მუშაობა. შესაბამისად, დღეს უნივერსიტეტებში თავისუფალი სიტუაცია არ არის და მხოლოდ ამ ვითარების შეცვლის შემდეგ უნდა დამყარდეს რექტორების არჩევა, რომელიც უნივერსიტეტის ავტონომიურობის ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) ბერკეტი იქნება.

როგორც გაირკვა, თანამდებობა დატოვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა სანდრო კვიტაშვილმა, რომელმაც თავისი გადაწყვეტილება „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებებით ახსნა და განაცხადა, რომ ეს ცვლილებები უნივერსიტეტების ავტონომიაში უხეში ჩარევაა, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გავრცელებული ინფორმაციით, კვიტაშვილს თანამდებობის დატოვება ისედაც მოუხდებოდა, რადგან მას აკადემიური ხარისხი არა აქვს და, შესაბამისად, ცვლილებების ამოქმედების შემდეგ უნივერსიტეტის რექტორად დარჩენა აღარ შეეძლო.

რუსიკო უშიკიშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ქართველ ელჩებს ხელს უშლით სიჯიუტე -

მიხეილ სააკაშვილს არ სურს, დანიშნოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ხელმძღვანელები

საქართველოს პრეზიდენტისა და პრემიერის დაპირისპირება დიპლომატიის სფეროზე გადავიდა – მიხეილ სააკაშვილი და ბიძინა ივანიშვილი ვერაფრით ვერ თანხმდებიან ზოგიერთი ელჩის კანდიდატურასთან დაკავშირებით. საქმე იქამდე მივიდა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ ბრალი დასდო პრეზიდენტს მსოფლიო არენაზე ქვეყნის ავტორიტეტის მოშლაში.

მაია ფანჯიკიძემ გადაწყვიტა, მკვეთრად დააყენოს საკითხი საქართველოს ახალი ელჩების დანიშვნის შესახებ დიდ ბრიტანეთსა და გაეროში. ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომის წინა დღეს, რომელიც სამშაბათს გვიან საღამოს პრეზიდენტის თავმჯდომარეობით გაიმართა, საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა განაცხადა: **„მიხეილ სააკაშვილი ვალდებულია, ოფიციალურად განმარტოს, თუ რატომ არ ნიშნავს იგი მნიშვნელოვან ელჩებს. დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ხელმძღვანელების დამტკიცების შეყოვნება შლის ჩვენს ძალისხმევას საერთაშორისო არენაზე“.**

ჩვენი გაზეთის მონაცემებით, მინისტრს არ მიუღია განმარტებანი, პრეზიდენტმა მხოლოდ მოკლედ შენიშნა, რომ ელჩების დანიშვნა – ეს მისი საკონსტიტუციო პრეროგატივაა, ხოლო სხდომის მონაწილემ, საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერმა დავით ბაქრაძემ ბრალი დასდო საგარეო საქმეთა მინისტრს მცდელობაში, გვერდი აუაროს უფრო მნიშვნელოვან თემებს.

„ჩვენ შევიკრიბეთ, რომ, უწინარეს ყოვლისა, განვიხილოთ ტერორისტული აქტი ავღანეთში ჩვენი სამხედროების წინააღმდეგ და დაშინების პროვოკაციული ვიდეორგოლების გაჩენა მათი მისამართით“, – განმარტა მან.

კონფლიქტი პრეზიდენტსა და მთავრობას შორის ელჩების დანიშვნასთან დაკავშირებით ორი თვის წინათ დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში მათ შეძლეს, შეეთანხმებინათ კანდიდატურების უმრავლესობა, მაგრამ პრეზიდენტი კატეგორიულ უარს აცხადებდა, დაემტკიცებინა გაეროში ელჩად საქართველოს ნატოსთან წარმომადგენლობის ექსთანამშრომელი კახა იმნაძე, დიდ ბრიტანეთში კი – პარლამენტის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე. ორივე შემთხვევაში მიზეზს აქვს აშკარად პიროვნული ხასიათი. კახა იმნაძე 2003 წელს იყო პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის პრესმდივანი და „ვარდების რევოლუციის“ დროს მიხეილ სააკაშვილს „კომიკურად ექსტრავაგანტური პიროვნება“ უწოდა. თედო ჯაფარიძე 1990-იან წლებში მუშაობდა ელჩად ამერიკის შეერთებულ შტატებში და კეთილი ურთიერთობა არ ჰქონია პარლამენტის იურიდიულ საქმეთა კომიტეტის მაშინდელ ხელმძღვანელთან მიხეილ სააკაშვილთან. ამავე დროს ბატონი ჯაფარიძე ითვლებოდა პარლამენტის ექსსპიკერის ნინო ბურჯანაძის კაცად. როდესაც პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი იყო, მან 2003 წლის ბოლოს დანიშნა იგი საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელად, მაგრამ უმალვე პრეზიდენტად დანიშვნიდან, 2004 წლის იანვარში, მიხეილ სააკაშვილმა თედო ჯაფარიძე გადააყენა თანამდებობიდან – და მან შეძლო დაბრუნებულიყო დიდ პოლიტიკაში მხოლოდ რვა წლის შემდეგ ბიძინა ივანიშვილის გუნდის შემადგენლობაში.

მიხეილ სააკაშვილი აყოვნებდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ელჩად ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მრჩევლის არჩილ გეგეშიძის დანიშვნასაც, მაგრამ ვაშინგტონს არ მოეწონა ეს შეყოვნება, და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა საქართველოს პრეზიდენტს აცნობა სახელმწიფო დეპარტამენტის უკმაყოფილება, რის შემდეგაც საკითხი გადაიჭრა. თუმცა, ამ ცოტა ხნის წინათ ელჩი აცხადებდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში სამუშაო ვიზიტის დროს პრეზიდენტმა „არ მიიწვია იგი მნიშვნელოვან შეხვედრებზე“.

გაუთავებელი დაბრკოლებებისგან გადაღლილმა თედო ჯაფარიძემ გამოაცხადა, რომ უარს აცხადებს წინადადებაზე, გახდეს ელჩი დიდ ბრიტანეთში, ვინაიდან **„შექმნილი სიტუაცია უზარმაზარ ზიანს აყენებს ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟს“.** „ეს მეტად არასოლიდურია, უწინარეს ყოვლისა, პრეზიდენტის მხრიდან, – კომენტარი გაუკეთა ამ სიტუაციას დიპლომატიური აკადემიის რექტორმა იოსებ ცინცაძემ. – არ შეიძლება ასეთი საკითხების გადაწყვეტა პიროვნული მიუღებლობის საფუძველზე“.

მმართველ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ გვაცნობეს, რომ აღარ გაამახვილებენ ყურადღებას ამ საკითხზე, ვინაიდან „სააკაშვილს აღარც ისე ბევრი დრო დარჩენია – მისი მართვის კვირეები უკვე დათვლილია“. ოქტომბერში პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ კი ძალაში შევა ახალი კონსტიტუცია, რომლის თანახმადაც ელჩების დანიშვნის პრეროგატივა პრეზიდენტიდან მთავრობის მეთაურთან გადადის.

Коммерсантъ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო გავიდა სკანდალური ვიდეორგოლის ავტორის კვალზე, ვიდეორგოლისა, რომელიც გვიამბობს „თალიბანის“ გეგმების შესახებ, შური იძიონ ქართველ ჯარისკაცებზე და პირადად უმაღლეს მთავარსარდალზე მიხეილ სააკაშვილზე ავღანეთში ნატოს ოპერაციებში მონაწილეობისთვის.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ქართველ გამომძიებლებს ეხმარებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის სპეცსამსახურების წარმომადგენლები. უკვე იდენტიფიცირებულია მისამართი, საიდანაც იტვირთებოდა რგოლი. მინისტრის სიტყვებით, იგი შეიქმნა საქართველოში და არაფერი საერთო მოძრაობა „თალიბანთან“ მას არ აქვს.

ამ დღეებში შინაგან საქმეთა სამინისტროს განზრახული აქვს, გამოიკვლიოს და წარუდგინოს საზოგადოებრიობას კლიპის ავტორი. იმის გათვალისწინებით, რომ ავღანეთში 1675 სამხედრო მოსამსახურე მსახურობს (ყველაზე მეტი ნებისმიერ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც ნატოში არ შედიან), საზოგადოებრიობა მეტად შეშინებულია „თალიბანის“ მუქარით, ამიტომ მკვლევრები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა მოძებნონ რგოლის ავტორი. მაგალითად, 12 ივნისის ღამით შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრტერორისტულ დეპარტამენტში რამდენიმე საათის განმავლობაში აწარმოებდნენ ოპოზიციური პროსააკაშვილისეული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის აქტივისტის დაკითხვას. აქტივისტმა „ფეისფუქის“ თავის გვერდზე ივარაუდა, რომ ვიდეო შეიძლება გადაღებული იყოს სტუდიაში, რომელიც ეკუთვნის ბიძინა ივანიშვილის ვაჟიშვილს ბერა ივანიშვილს.

„ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ დაასახელეს მეორე შესაძლო ავტორი, ივანიშვილი-უმცროსის გარდა. სააკაშვილის პარტიიდან დეპუტატების გიორგი თარგამაძისა და დავით დარჩიაშვილის სიტყვებით, ეს შეიძლებოდა გაეკეთებინა მთავრობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელს ნიკოლოზ ყანდიაშვილს.

– ის აწარმოებდა პიარს შევარდნაძის დროს, ახლა ივანიშვილის დროს. კლიპი „თალიბანი“ ტონალობით, გადმოცემის მანერითა და მიწოდებით, როგორც ერთი ვაშლის ორი წვეთი ჰგავს „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო რგოლს იმის შესახებ, თუ როგორი ცუდია სააკაშვილი და როგორ ნეგატიურია ყველაფერი ქვეყანაში, – განმარტა ჩვენთან საუბარში დავით დარჩიაშვილმა.

თავად ყანდიაშვილმა ბრალდებას თავისი მისამართით ბოდვა უწოდა.

„Youtube“ -ის პორტალზე კადრები ტექსტით ინგლისურ ენაზე „ქართველი ჯვაროსნების“ და მათი პრეზიდენტის წინააღმდეგ განთავსებული იყო რამდენიმე საათით ადრე მანამდე, სანამ 6 ივნისს თვითმკვლელი შეუტევდა ქართველ სამხედროებს ავღანეთის პროვინცია ჰელმანდში. მაშინ დანაღმული ავტომანქანის აფეთქების შედეგად დაიღუპა 7 სამხედრო მოსამსახურე. მთლიანად საქართველომ ავღანეთში დაკარგა 29 ჯარისკაცი და ოფიცერი.

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, სააკაშვილმა

ქართული ოპოზიცია „თალიბანის“ დაშინების ავტორს ხელისუფლებაში ეძებს

ეჭვმიტანილთა შორის არიან პრემიერ ივანიშვილის შვილი და მთავრობის პრესმდივანი

მოინახულა ქართველი სამხედროები ავღანეთში. მისი საუბრები მათთან იმის შესახებ, თუ ვინ რამდენი თალიბი გაანადგურა, აჩვენეს ტელევიზიით. ამიტომ ქსელში სკანდალური ვიდეოს გამოჩენა და გახშირებული შეტაკებები ზოგიერთმა დაუკავშირა შურისძიებას პირადად პრეზიდენტის წინააღმდეგ „თალიბანის“ მხრიდან.

სამხედრო ექსპერტები სააკაშვილს სთავაზობენ, ამიერიდან დარტყმის ქვეშ აღარ დააყენოს სამხედროები ამგვარი ვიზიტებით და მოუფიქრებელი გამონათქვამებით.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში გვაცნობეს, რომ ავღანეთში გაიგზავნა შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის დელეგაცია, რომელიც ადგილზე აფასებს რისკებს ქართული კონტინგენტისთვის და აწარმოებს მოლაპარაკებას უშიშროების გაძლიერებისთვის. კერძოდ, ვარაუდობენ, შეცვალონ რამდენიმე ბაზის დისლოკაცია...

თბილისმა 6 ივნისის შეტევის შემდეგ უკვე დაკეტა ორი თავისი სამხედრო ბაზა ავღანეთში, რომელთა მისამართითაც შეიძლებოდა ყოფილიყო შეკითხვები უშიშროების უზრუნველყოფის დონესთან დაკავშირებით. გადაწყვეტილება შეთანხმებული იყო უშუალოდ ამერიკელებთან, რომელთა მეთაურობითაც მსახურობენ ქართველები ავღანეთში. ამავე დროს ქართველი სამხედროების რიცხოვნობა არ გადაისინჯება, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.

ამ დროს თბილისში ყოველდღიურად მიმდინარეობს, თუმცა, არც ისე მრავალრიცხოვანი, აქციები ჯარის გამოყვანის შესახებ, ხოლო ოპოზიციურმა ლეიბორისტულმა პარტიამ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შეიტანა თხოვნა, მოეწყოს რეფერენდუმი ქვეყნის მონაწილეობის შესახებ ამ ოპერაციაში.

2014 წელს ავღანეთში ნატოს მისიის დამთავრების შემდეგ საქართველო გააგრძელებს დახმარების გაწევას ქაბულისთვის ოფიცერთა კადრების მომზადებაში არმისა და პოლიციისთვის. თუ, კერძოდ, როგორ მოხდება ეს, განიხილავენ ივნისის ბოლოს თბილისში გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის ხელმძღვანელობით ალიანსის დელეგაციის ვიზიტის დროს. ჯერჯერობით კი „ქართულმა ოცნებამ“ ქართველ სამხედროებს ფულადი ანაზღაურება 25 პროცენტით გაუზარდა: ახლა მინიმალური ხელფასი შეადგენს ერთ ათას დოლარს, რაც თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე მათი კოლეგებისა სამშობლოში. ასევე განიხილება კომპენსაციის საკითხი მთავრობის მხრიდან ყველა 29 დაღუპულის ოჯახისთვის. ანაზღაურებამ შეიძლება შეადგინოს დაახლოებით 60 ათასი დოლარი ერთ ოჯახზე.

ИЗВЕСТИЯ

დედამიწის ზურგზე

აშშ-ში თეთრი მოსახლეობა თანდათან მცირდება: გარდაცვლილთა ოდენობამ პირველად გადააჭარბა ახალშობილთა რიცხვს

სულ ამერიკის შეერთებულ შტატებში ლათინური ამერიკის წარმომავლობის 198 მილიონი თეთრი რასის მოქალაქე ირიცხება. მოსახლეობის აღწერის ბიუროს მონაცემებით, შარშან გარდაცვლილთა ოდენობამ ამ ჯგუფში თითქმის 12,4 ათასით გადააჭარბა დაბადებულთა ოდენობას. ექსპერტები აკეთებენ პროგნოზს: ვარდნა ასი წლით გაჭიანურდება.

* * *

„ეკვდები, როგორც ვცხოვრობდი“: გამოძვეძნდა ჰიტლერის საყვარლის გზავნილი, რომელიც თვითმკვლელობის წინ დაწერა

ფიურერის თანამგზავრი ევა ბრაუნი მიხვდა, რომ ისინი განწირულები არიან, როდესაც საბჭოთა არმია ბერლინში შევიდა. „ჩვენ აქ ვიბრძვით უკანასკნელ ადამიანამდე, მაგრამ მეშინია, რომ დასასრული სულ უფრო და უფრო ახლოსაა“, – წერდა ბრაუნი თავის მეგობარ ქალ ჰერტა შნაიდერს. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „იტანჯება ჰიტლერის გამო“, მაგრამ ბედნიერია მის გვერდით. რამდენიმე დღის შემდეგ ორივემ თავი მოიკლა.

* * *

გადარჩენა ცათამბჯენის 140 მეტრის სიმაღლეზე: პლატფორმა ფანჯრების მრეცხავების ძვეშ ნიუ-იორკში შუაზე გადატყდა

ორ მუშას მოუწია საათნახევრის განმავლობაში ყოფილ იყვნენ პლატფორმის ორ სხვადასხვა ბოლოში. მაშველებმა გადაწყვიტეს, ამოეღოთ ფანჯრები 44-ე სართულზე, რათა მამაკაცები შეეყვანათ შენობაში. ცათამბჯენში ორივე გაჩხირული მშვიდად იქცეოდა და არც დაზარალებულან: „არანაირი საჩივარი, არანაირი ტრავმები“.

* * *

ამერიკელებმა ბუშ-უფროსს დაბადების დღეზე აჩუქეს თავიანთი ფოტოები ჟრელ წინდებში

უკანასკნელ წლებში ამერიკის შეერთებული შტატების ექსპრეზიდენტმა შეიყვარა ორიგინალური ფერადი წინდები და ხშირად ჩნდებოდა სხვადასხვა ღონისძიებებზე, მათ შორის ოფიციალურ ღონისძიებებზე. მისი სახელობის ფონდმა გადაწყვიტა, განევითარებინა იდეა და მოუწოდა მოქალაქეებს, წარმოაჩინონ ინტერნეტში სურათები, რომლებშიც ისინი პოზირებენ „მხიარულ“ წინდებში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ექიმი

ნუნუ სამადაშვილი-გრიგოლია:

„ჩემთვის ყველაზე მაღალი ჯილდო პაციენტის მადლობაა“

მას ხშირად იწვევენ მედიცინის სხვადასხვა საკითხზე გამართულ საერთაშორისო და მსოფლიო კონგრესებზე და კონფერენციებზე. ის უანგაროდ ატარებს კონსულტაციებს გერმანიის, შვეიცარიის და ავსტრიის საუკეთესო ევროპულ კლინიკებში. მასთან თბილისში სამკურნალოდ ჩამოდიან პაციენტები ახლო და შორეული საზღვარგარეთიდან, მათ შორის – რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელარუსიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან... ამ ქალბატონს ნუნუ სამადაშვილი-გრიგოლია ჰქვია. ის ხელმძღვანელობს კომპლემენტარული მედიცინის თბილისის ცენტრს – არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაშიც ერთადერთ მრავალპროფილიან სამედიცინო დაწესებულებას, სადაც კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, კანის, ნერვული სისტემის, სახსრების, ტრავმების, ონკოწარმონაქმნების და სხვა დაავადებების მკურნალობისას ქირურგიული ჩარევის გარეშე ფართოდ და წარმატებითაც გამოიყენება სპეციალური ბიოლოგიური პრეპარატები, რომლებიც მზადდება გერმანიაში მსოფლიოს წამყვან ფარმაცევტულ კომპანიებში ეკოლოგიურად სუფთა სასწაულმოქმედი მცენარეებისაგან.

თითქმის 40 წლის განმავლობაში მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ნუნუ სამადაშვილი-გრიგოლიას ხელში გაიარა ცხრა ათასამდე პაციენტმა, რომელთა უმრავლესობაც მთლიანად განიკურნა სხვადასხვა დაავადებებისაგან, ზოგი კი სიკვდილს გადაურჩა.

ქალბატონი ნუნუ სიტყვაძუნწია და არ უყვარს საკუთარ თავზე საუბარი. რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, მას არასდროს არ მიუცია ინტერვიუ ჟურნალისტებისთვის. მათ ყოველთვის სთავაზობდა: სჯობს ჩემი ოჯახის წევრებზე დაწეროთ, ეს გაცილებით უფრო საინტერესოაო... მართლაც, მისი მეუღლე და ორი შვილიც ექიმები არიან – მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

მეუღლე – ნოდარ გრიგოლია ცნობილი ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ქირურგთა ევროპული და მსოფლიო ასოციაციების წევრია, 3 მონოგრაფიისა და 200 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მოსკოვის, ყაზახეთისა და გერმანიის წამყვან კლინიკებში მუშაობდა. ამჟამად კი პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში. მშობლების კვალდაკვალ მიდიან შვილებიც: ნინო – წამყვანი თერაპევტია, გიორგი კი – ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი და ასისტენტ-პროფესორი, მუშაობს მიუნხენში.

რა თქმა უნდა, ყოველი მათგანი იმსახურებს ცალკე პუბლიკაციებს, მაგრამ ახლა ჩემი ამოცანა იყო, როგორმე მესაუბრა თავად ქალბატონ ნუნუსთან და ეს მოხერხდა. მაგრამ მასთან საუბრის თავისებური პრელუდია გახდა მედდის მარიამ ჩიტაშვილის ნაამბობი. ისარგებლა რა თავისი უფროსის ავადმყოფთან სასწრაფო გამოძახებით, მონდომებით გვამცნო ინფორმაცია ამ წერილის მთავარ გმირზე.

– ასეთ გულითად და კეთილ ადამიანს იშვიათად თუ შეხვდებით! – ამბობს მედდა მარიამი. – იცით, თქვენს მოსვლამდე აქ იყო ყოფილი პაციენტი გიორგი ჩიმაკაძე, 45 წლის კაცი, რომელიც ქალბატონმა ნუნუმ საიქიოდან მოაბრუნა. – 5 წლის წინათ გიორგის სიმსივნე აღმოაჩნდა და ნახევარი კუჭი ამოაჭრეს. მეტასტაზები ფილტვებზეც გავრცელდა. ავადმყოფმა გაიარა ქიმიოთერაპიის ცხრა სეანსი, მაგრამ ამაოდ. სპეციალისტებმა გამოიტანეს ვერდიქტი – იცოცხლებს მხოლოდ ორი თვე. მაგრამ მისი გამოჯანმრთელება ქალბატონმა ნუნუმ ითავა, ნაბიჯ-ნაბიჯ, გერმანული ფირმის ბიოლოგიური პრეპარატების გამოყენებით დააყენა ფეხზე.

– იყო ასეთი შემთხვევაც, – განაგრძო მარიამმა, – ერთ ქალბატონს აღმოაჩნდა სარძევე ჯირკვლის სიმსივნე. პაციენტს ეშინოდა ოპერაციის გაკეთება და ამასთან უკვე გვიანიც იყო, მაგრამ ქალბატონი ნუნუს ჯადოსნურმა ხელებმა და მეთოდმა იმ ქალის სიცოცხლეც გადაარჩინა, აი, უკვე 15 წელია ჯანმრთელია. ასეთი მაგალითები მრავალადაა ყველასათვის საყვარელი დასტაქრის ნუნუს სამედიცინო პრაქტიკაში.

როგორ უკვე აღვნიშნეთ, სამკურნალო ცენტრი მრავალპროფილურია, სადაც ქირურგიული ჩარევის გარეშე ეფექტიანად მკურნალობენ დაავადებებს. მაგალითად კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დარღვევები, ჭამის შემდგომი სიმძიმე კუჭში, გულისრევა, მუცლის შებერილობა, გულძმარვა, ენაზე ჭარბი ნადები...

– ყველა ეს სიმპტომი მიუთითებს, რომ გასტრიტმა გაიღვიძა, როგორც იტყვიან ზამთრის ძილის შემდეგ, – გვიყვება ქალბატონი ნუნუ. – პირველ რიგში, საჭიროა კვების კორექტირება. მენიუდან უნდა გამოირიცხოს ან მკვეთრად შემცირდეს მარილიანი, ცხიმიანი, შებოლილი თევზი, ხორცი, ძეხვეული, ხორცის ბულიონი, სოკო, ცხარე სანელებლები, ჭვავის პური, გაზიანი სასმელები და ყავა. უნდა ვეცადოთ, ვიკვებოთ ხშირად და მცირე ულუფებად. საჭიროა გავთავისუფლდეთ სტრესისგან. სტრესს, ისევე როგორც არაჯანსაღ კვებას, შეუძლია გამოიწვიოს კუჭის ლორწოვანი გარსის ანთება. საჭმლის მომნელებელი სისტემისთვის განსაკუთრებით დამანგრეველია გაღიზიანების გრძნობა. იგი იწვევს სისხლძარღვების სპაზმებს და ამით არღვევს სისხლის მიმოქცევას. შედეგად ვგრძნობთ კუჭის ტკივილს.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, გასტრიტით დაავადების ნახევარზე მეტი გამოწვეულია პათოგენური მიკროორგანიზმების ზემოქმედებით – ბაქტერიებით, რომელებსაც შემდგომში შეუძლიათ გამოიწვიონ არამარტო გასტრიტი, არამედ კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, ზოგიერთ შემთხვევაში ონკოლოგიური დაავადებებიც კი.

კომპლემენტარული მედიცინის თბილისის ცენტრში კუჭნაწლავის ტრაქტის დარღვევას მკურნალობენ მაღალეფექტიანი, ეკოლოგიურად სუფთა ბიოლოგიური პრეპარატებით, გვერდითი მოვლენების გარეშე, რომლებისაც აწარმოებენ გერმანული ფარმაცევტული კომპანიები, კერძოდ: WALA, NHC, Heva, Tech GmbH და სხვა.

საქართველოში ამ პრეპარატების გამოყენების ექსკლუზიური უფლება მხოლოდ ამ ცენტრზეა გაცემული და აქ, მკურნალობის საჭირო კურსს ნიშნავენ ადგილზე დამუშავებული მეთოდიკით.

ნუნუ სამადაშვილი-გრიგოლია თვლის, რომ ყველაზე მაღალი ჯილდო მისთვის პაციენტის მადლიერებაა. ის ინოვაციების მუდმივ ძიებაშია, ოთხი წიგნის ავტორია, ევროპისა და მსოფლიო მედიკოსთა ასოციაციების ონკოლოგიასთან ბრძოლის საერთაშორისო ორგანიზაციის (GFBK) წევრია.

ქალბატონი ნუნუ, მისი მეუღლე ნოდარი და შვილი გიორგი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის გერმანიაში მკურნალობაშიც აქტიურად არიან ჩართულები.

მამია ალაშვილი.

სურათზე: ნუნუ სამადაშვილი-გრიგოლია (მარცხნიდან მესამე) ერთ-ერთი საერთაშორისო კონგრესის მონაწილეთა შორის.

◎ ხალხის აზრი

„თუ მამაკაცის მამაკაცზე ქორწინება უნდა დაუშვათ, ზოოფილიას რას ვერჩით?“

(მეექვსე გვერდიდან)

ხალხი აღტკინებული იყო, თითქოს 30-მდე კაცს კი არა, მთელ სამყაროს უპირისპირდებოდნენ. ქართველების ბუნება ასეთია, იმათთვის, რომ ვინმეს ხმლები მიეცა, იმ დღესვე დავიბრუნებდით დაკარგულ ტერიტორიებს.

ზოგიერთი ამბობს, რა საჭიროა ამხელა ამბის ატეხა და ამხელა აქციის მოწყობაო, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს მარტო სექსუალური აღვირახსნილობის წინააღმდეგ მიმართული აქცია არ უნდა იყოს, ამიერიდან ყველას ეცოდინება, რომ ქართველ ხალხს ადვილად ვერ მოახვევენ თავზე გარყვნილებასა და ამორალურობას. ეს იყო ჩვენი ერის ღირსების დაცვა ქვეყნისა და ღმერთის წინაშე.

ანა გოლიაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი: ჰომოსექსუალობა ადამიანისთვის დაცინვის, და, მით უმეტეს, შეურაცხყოფის მიზეზი არ უნდა ყოს. ჩემი აზრით, საქართველოში ჰომოსექსუალების ლეგალიზაცია არასოდეს მოხდება. უპირველეს ყოვლისა, რელიგიური შეხედულებების, დამახასიათებელი მენტალიტეტის გამო. შესაბამისად არ უნდა მომხდარიყო ამის პროპაგანდა.

სალომე, ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი, 18 წლის: არ მომწონს ის ფაქტი, რომ დარბევა მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ გამოხატვის უფლება ყველას აქვს, არც ის მომეწონა, რომ აფიშირებას აკეთებენ თავიანთი სექსუალური ორიენტაციის. არ შეიძლება საქმის ჩხუბით მოგვარება, მით უმეტეს, რომ რელიგია გვეუბნება, ადამიანები უნდა მივიღოთ ისეთად, როგორებიც არიან. რომ ამბობენ, მე შვილი მეზრდება, პრობლემა ის არის, რომ შვილი გეზრდება და არა ზრდი. თუ შენს შვილს სხვანაირად დაანახვებ ადამიანობას, არ გაუჩნდება ამის სურვილი...

უმრავლესობა ამბობს, რომ არავინ არაფერს უშლის, რაც უნდათ ის აკეთონ, ოღონდ მის აფიშირებას ნუ მოახდენენო. მაგრამ მეორე მხრივ შეიძლება გაამართლო მათი მოთხოვნა უფლებების დასაცავად, როცა საქართველოში, განვლილი ორი წლის განმავლობაში ყოველი მესამე ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების 21 პროცენტი ორჯერ და მეტჯერ ყოფილა ძალადობის მსხვერპლი, 89 პროცენტი – ფსიქოლოგიური ძალადობის, მათგან 75 პროცენტს სამჯერ და მეტჯერ გადაუტანია ძალადობა. ფსიქოლოგიური ძალადობის ყველაზე გარცელებული ფორმებია მუქარა, შანტაჟი, დამამცირებელი მოპყრობა, დაცინვა და ქონების განზრახ დაზიანება. საქართველოში ლგბტ ადამიანიების 50 პროცენტი ოჯახის მხრიდან ზეწოლის მსხვერპლი ერთხელ მაინც გამხდარა. მათგან 26 პროცენტი ძალით დაქორწინეს, ხოლო 18 პროცენტს მეგობრებთან კონტაქტი აუკრძალეს, ბევრი ლგბტ ახალგაზრდა კი საერთოდ უსახლკარო ხდება.

თინათინ დვალი,

გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტის სტუდენტი

◎ ალიან-ჩალიანი

პედაგოგებს ანაზღაურებადი შვებულების ვადა ორ თვემდე გაეზარდათ

ამის შესახებ განათლების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა და პედაგოგთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე მაია კობახიძემ თბილისის საჯარო სკოლების 80-მდე დირექტორს გუშინ 24-ე საჯარო სკოლაში გამართულ შეხვედრაზე აცნობეს.

განათლების მინისტრის გადაწყვეტილებით, ცვლილება შედის საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებლებს შორის დადებულ შრომის ხელშეკრულების სავალდებულო პირობების შესახებ ბრძანებაში, რითაც პედაგოგთა ანაზღაურებადი შვებულება არანაკლებ ორი თვის (ორმოცი სამუშაო დღის) ვადით განისაზღვრა. განსხვავებული ვადა კი მხოლოდ განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით დადგინდება.

განათლების მინისტრის გიორგი მარგველაშვილის თქმით, მიმდინარე წლიდან მასწავლებლებს შესაძლებლობა ექნებათ, ანაზღაურებადი შვებულებით ივლისის დასაწყისიდან ისარგებლონ და სკოლაში არაუგვიანეს 2 სექტემბრისა გამოცხადდნენ.

მისივე თქმით, პედაგოგებს ასევე შეუძლიათ, ორი თვის წინასწარი ხელფასი ივლისში აიღონ. ამასთან, მარგველაშვილის განცხადებით, ხელფასები მოემატებათ სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლებსაც. აქამდე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით, მასწავლებლებს ანაზღაურებადი შვებულება წელიწადში 24 სამუშაო დღის ვადით ეძლეოდათ.

1 ივლისიდან საყოველთაო დაზღვევის მოცულობა იზრდება

ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა. მისი თქმით, საყოველთაო პაკეტი ამ დრომდე მოიცავდა სამ კომპონენტს, ეს არის: გეგმიური ამბულატორია, გადაუდებელი ამბულატორია და გადაუდებელი სტაციონარი.

მინისტრის განცხადებით, 1 ივლისიდან ემატება გეგმიური სტაციონალური მომსახურებაც.

– მართალია, ეს ერთი კომპონენტია, მაგრამ თავისი მოცულობით ბევრად აღემატება მთლიან პაკეტს, ანუ რამდენჯერმე გაიზრდება დახმარების მოცულობა, – აღნიშნა დავით სერგეენკომ.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ჭადრაკი

ნანა ბლიცშიც პირველია

2008 წლის მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებულმა ნანა ძაგნიძემ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ლიდერია: თბილისმა ბლიცში პირველ ეროვნულ ჩემპიონატს უმასპინძლა, სადაც ძაგნიძემ 9 შესაძლებლიდან 7 ქულით პირველობა არავის დაუთმო. ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვეს და, შესაბამისად, მეორე-მეოთხე ადგილები ნინო ბაციაშვილმა, ინგა ჭარხალაშვილმა და მირანდა მიქაძემ გაიყვეს. საგულისხმოა, რომ 15 ივნისიდან ნანა ძაგნიძე და ბელა ხოტენაშვილი სომხურ დილიჟანში ფიდეს ქალთა გრან პრის მე-2 ეტაპზე მოსინჯავენ ძალებს. შეგახსენებთ, რომ პირველ რაუნდში ბელამ ყველას აჯობა და 160 ქულა დაიბევა, ხოლო ნანამ მესამე-მეოთხე ადგილები გაიყო.

ლაშა დიდია

სურათზე: მარცხნიდან — ნინო ბაციაშვილი, ნანა ძაგნიძე და ინგა ჭარხალაშვილი.

◎ ოლიმპიზმი

ექვსი კანდიდატი და ერთი სავარძელი

სექტემბერში გასამართი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რიგით 125-ე სესია არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენით იქნება დახუნძლული.

გარდა იმისა, რომ ბეისბოლს, სკვოშსა და ჭიდაობას შორის უნდა გაირკვეს ის ერთი იღბლიანი სპორტის სახეობა, რომელიც 2020 წლის ზაფხულის ოლიმპიადის პროგრამაში შევა, სესიამ ამ ორგანიზაციის ახალი პრეზიდენტიც უნდა აირჩიოს.

ბელგიელი დოქტორი ჟაკ როგი სოკ-ს 2001 წლიდან ხელმძღვანელობს. 10 სექტემბერს, ბუენოს-აირესში, მისი 12-წლიანი მმართველობის ხანა დასრულდება და მსოფლიო ოლიმპიურ ოჯახს ახალი წინამძღოლი ეყოლება.

ამ საპასუხისმგებლო თანამდებობისთვის საბოლოოდ ექვსი კანდიდატი იბრძოლებს, რადგან განაცხადების მიღების ვადა უკვე ამოიწურა.

გერმანელი თომას ბახი, უკრაინელი სერგეი ბუბკა, პუერტორიკოელი რიჩარდ კარიონი, სინგაპურელი მიანგ ნგი, შვეიცარიელი დენის ოსვალდი და ტაივანელი ჩინგ-კოუ ვუ შეეცდებიან სოკ-ის სესიაზე დამსწრე ხმის უფლების მქონე დელეგატთა სიმპათია დაიმსახურონ.

კანდიდატები საკუთარი პრეზენტაციით 3-4 ივლისს სოკ-ის საგანგებო სესიაზე წარსდგებიან.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ წყლის ნაყვა

პლატინი რუსეთის და უკრაინის გაერთიანებული ჩემპიონატის წინააღმდეგია

უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ, რომელიც არაერთხელ გამოვიდა რუსეთისა და უკრაინის გაერთიანებული ჩემპიონატის ჩატარების წინააღმდეგ, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ტრანსნაციონალური ლიგები კვლავ პროექტების დონეზე დარჩება.

თავის დროზე რუსეთის და უკრაინის გაერთიანებული ჩემპიონატის ორგკომიტეტის თავმჯდომარემ ვალერი გაზაევმა აღნიშნა, რომ პლატინი ხსნებული პროექტის წინააღმდეგი არაა.

თუმცა, უეფას პრეზიდენტმა „სოვეტსკი სპორტის“ კითხვაზე, თუ რამდენად შესაძლებელია გაერთიანებული ჩემპიონატის ჩატარება, უპასუხა: „იმედი მაქვს, რომ ეს შეუძლებელია“.

გიორგი ზოთაძე

◎ მაგიდის ჩოგბურთი

ტონს აჭარა იძლევა

კპრგბა ხანია, საერთაშორისო სარბიელზე ქართველ მაგიდის ჩოგბურთელთა შესახებ არაფერი გვსმენია. არადა, ამ სახეობის უწინდელ მესვეურებს არაერთხელ უთქვამთ, სახელოვან ტრადიციებს აღვადგენთო, მაგრამ სიტყვა სიტყვად დარჩენილა უსახსრობისა თუ სუბიექტურ-ობიექტური მიზეზების გამო.

ნახევარი წლის წინათ ფედერაციას კვლავ შეეცვალა ხელმძღვანელობა (ამჟამად ორგანიზაციას კახა გუგეშაშვილი უდგას სათავეში). „ახლებმა“ საქმიანობა უხმაუროდ, გახლეჩილი ორგანიზაციის გაერთიანებით დაიწყეს, მერე თბილისის პირველობა გამართეს, ხოლო ამ დღეებში გამართულ საქართველოს ჩემპიონატში 10 ქალაქისა და რაიონის 150 წარმომადგენელს მოუყარეს თავი. მედლების კომპლექტი ოთხ ასაკში გათამაშდა. უფროსებში ვენერა ბარამიძე და ბექა ტაბაღუა ავიდნენ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. მათ აქამდეც არაერთხელ მოუპოვებიათ ქვეყნის ჩემპიონობა. ორივე აჭარიდანაა. საერთოდაც, ამ ჩემპიონატში ტონს ზღვისპირელი ჩოგბურთელები იძლეოდნენ და მედლების უმეტესობაც მათ მოიხვეჭეს, რაც კვარცხლბეკიდანაც კარგად ჩანს:

მინიკადეტები. გოგონები. 1. მაგდა რიჟვაძე, 2. ლინდა ჩიკვაიძე (ორივე — აჭარა), 3. ნანა ღოლობერიძე (თბილისი). **ბიჭები**. 1. ანრი დევაძე (აჭარა), 2. მიხეილ ვეშაპიძე, 3. ერეკლე აბაშიძე (ორივე — თბილისი).

კადეტები. გოგონები. 1. ანა ნიკოიანი, 2. ლაიმა რიჟვაძე, 3. ელზა მახაჭაძე (სამივე — აჭარა). **ბიჭები.** 1. ლაშა ლომია (თბილისი), 2. ვადიმ აბდალოვი, 3. ვლადიმერ მიქაძე (ორივე — აჭარა).

იუნიორები. გოგონები. 1. დიანა ხომერიკი (თბილისი), 2 თეა ფიცხელაური (თელავი), 3. თეონა თვაური (თბილისი). **ბიჭები**. 1. გიორგი კოპლატაძე (თბილისი), 2. ზურაბ თებიძე , 3. ჰამიდ კარაკულუკჩი-ოღლი (ორივე — აჭარა).

უფროსები. ქალები. 1. ვენერა ბარამიძე, 2. ნარინე ეტარიანი, 3. თეონა მაისურაძე (სამივე — აჭარა), **ვაჟები.** 1. ბექა ტაბაღუა, 2. არტურ კაკოიანი (ორივე — აჭარა), 3. კოტე ხარატი (თბილისი).

წყვილები. ქალები. 1. ვენერა ბარამიძე, ნარინე ეტარიანი (აჭარა), 2. ლიზი კახაბრიშვილი (თბილისი), ანა ნიკოიანი (აჭარა), 3. ნონა მარქარიანი, თეონა მაისურაძე (აჭარა). **ვაჟები.** 1. ბექა ტაბაღუა, სერგი პეტრიძე (აჭარა), 2. გიორგი კოპლატაძე, დავით ცატუროვი (თბილისი), 3. ივანე სალუქვაძე, ვირაბ კაზარიანი (თბილისი). **შერეული.** 1. ბექა ტაბაღუა, ნარინე ეტარიანი, 2. ვენერა ბარამიძე, არტურ კაკოიანი (ორივე — აჭარა), 3. მარი გოგოჭური, კოტე ხარატი (თბილისი).

ლექსო ცინცაძე

◎ ცხოვრების ჯანსაღი წესი

ღირსეულნი

ჩვენი გაზეთის მკითხველი უკვე ინფორმირებულია, რომ სპორტულ კლუბ „მორკინალი — 2011“-ის დაფუძნებამ გლდანი-ნაძალადევის მომავალი თაობის წრთობა — დაოსტატებას ახალი სული შთაბერა.

დასტურად ამ დღეებში დასრულებული სასკოლო ლიგის მოსწავლეთა ორი საკალათბურთო ტურნირი გამოდგება, რომელიც 7 თვის განმავლობაში გრძელდებოდა და საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის თანადგომით დაგვირგვინდა (პრეზიდენტი — გია ბეგიაშვილი, ვიცეპრეზიდენტები — დავით ხავთასი, ავთოჯალალი, ირინა სიმონიანი, გენერალური მდივანი — მევლუდ ლაშაური).

ჩემპიონთა ნუსხა

1999-2000 წლებში დაბადებულნი. 69-ე საჯარო სკოლა (დირექტორი თეა პაპავა, ფიზაღზრდის მასწავლებელი და გუნდის მწვრთნელი შალვა ცომაია).

1997-1998 წლებში დაბადებულნი. 173-ე საჯარო სკოლა (დირექტორი შორენა ბუნტური, ფიზაღზრდის მასწავლებელი დავით მენაბდიშვილი).

აღსანიშნავია აგრეთვე გადამწყვეტი მატჩების მასპინძლის — 173-ე საჯარო სკოლის დირექციის, ამავე სასწავლებლის ბაზაზე არსებული უმცროსი ასაკის ასპარეზობის ფინალისტის „ჩაუქის“ თავკაცთა (ბექა გოგუაძე, თემურ ბედიანიძე) და მესამე პრიზიორის — მე-16 საჯარო სკოლის (ფიზაღზრდის მასწავლებელი დათო გელაშვილი) წარმომადგენელთა განსაკუთრებული აქტიურობა.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ვითომ?

ტრაპატონი: დღევანდელი ესპანეთი პელეს ბრაზილიასაც სჯობს

ირლანდიის ნაკრების თავკაცმა ჯოვანი ტრაპატონიმ აქო და ადიდა ესპანეთის ნაკრები. მისი თქმით, „ფურია როხასთვის“ უპირატესობის წართმევა თითქმის შეუძლებელია.

„ესპანეთის ნაკრების სიძლიერე იმაში მდგომარეობს, რომ მისი ფეხბურთელები თვალდახუჭულნი უგებენ ერთმანეთს. პირნეელთა უპირატესობა ბურთის ფლობაში კოლოსალურია და პრაქტიკულად შეუძლებელია აღნიშნულ კომპონენტში მათთან გამკლავება. ჩემს პრაქტიკაში არ მინახავს ნაკრები, ასეთი სიზუსტითა და სისწრაფით რომ მოქმედებდეს. ესპანელები პელეს დროინდელ ბრაზილიასაც აღემატებიან“.

შეგახსენებთ, რომ ირლანდიამ 11 ივნისს ესპანელებთან ამხანაგური მატჩი 0:2 წააგო, შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზე კი მასთანვე 0:4 დამარცხდა.

მანუჩარ გიორგაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ერთად არც ყოფილან...

რატომ შორდებიან ერთმანეთს პუტინები?

პრეზიდენტი პუტინი ეყრება თავის ცოლს თითქმის 30 წლის ქორწინების შემდეგ. მოულოდნელი გადაწყვეტილებაა! და მაინც რა გახდა ამის მიზეზი?

ე.პატრეშოვა, მოსკოვი

თვითონ ვლადიმერ და ლუდმილა პუტინებმა, როდესაც გასულ კვირას იტყობინებოდნენ თავიანთი „ცივილიზებული გაყრის“ შესახებ ეს შექმნილი ვითარებით განმარტეს. „მთელი ჩემი მუშაობა დაკავშირებულია აბსოლუტურ საჯაროობასთან, ვიღაცას მოსწონს, ვიღაცას არა“, – თქვა პრეზიდენტმა. „ჩვენ პრაქტიკულად ვერც კი ვხედავთ ერთმანეთს, – დაუმატა ლუდმილა პუტინამ. ვლადიმერ ვლადიმერის ძე მთლიანად მუშაობაშია ჩართული, ჩვენი შვილები წამოიზარდნენ...“ მისი სიტყვებით, საჯაროობა, რეგულარული გადაფრენები, რაც გარდაუვალია პირველი ლედის როლის შესრულების დროს, მისთვის რთულია. განქორწინება – „საერთო გადაწყვეტილებაა“, – ხაზგასმით აღნიშნა ცოლ-ქმარმა, თანაც დაგვარწმუნეს, რომ ისინი „ყოველთვის დარჩებიან, როგორც ახლო ადამიანები“ და ერთობლივად იზრუნებენ თავიანთი შვილებისთვის.

ალექსანდრ კოლესნიჩენკო

◎ გვეკითხებიან – ვუპასუხებთ

მეობიარობა – ქალთა დაავადებებისგან განკურნებაა

შეიძლება ენდომეტრიოზის მკურნალობა აბებით, თუ უოპერაციოდ არაფერი გამოვა? და, სიმართლეა, რომ ბავშვის დაბადების შემდეგ ამ დაავადებამ თავისით გაიაროს?

ნინო ჟეიშვილი, სამტრედია

გვიპასუხებს გინეკოლოგი-ენდოკრინოლოგი თამარ გამხუაშვილი:

– ენდომეტრიოზის დროს ჩვეულებრივად კომბინირებულ ორალურ კონტრაცეპტივებს ნიშნავენ, აგრეთვე პრეპარატებს, რომლებიც საკვერცხეების ფუნქციებს ამუხრუჭებენ და გავლენას ახდენენ ჰიპოფიზზე და ჰიპოტალამუსზე. ასეთი მკურნალობის მინუსები – მისი ხანგრძლივობა (წამლები უნდა მიიღო მუდმივად – ნახევარი წლიდან 2-3 წლამდე) და თანმდევი ეფექტებია. განსაკუთრებით მძიმედ გადააქვთ წამლები, რომლებიც თიშავენ საკვერცხეების ფუნქციას. მათი მიღება კლიმაქსის ყველა სიმპტომს იწვევს: გაღიზიანებას, უძილობას, კანის სიმშრალეს, ჰიპერტრიქოზს (სახეზე და სხეულზე ზედმეტი თმების ზრდას) და, მართალია, პრეპარატის შეცვლის შემდეგ თანმდევი ეფექტები ქრება, მკურნალობას სასიამოვნოს ვერ უწოდებ. მაგრამ თუ სამკურნალო თერაპიის ორი წლის განმავლობაში შედეგი ვერ მივიღეთ, ოპერაციაზე უნდა ვიფიქროთ. ამ მეთოდს უნდა მივმართოთ ენდომეტრიოიდული ტესტის დროსაც – ამ პათოლოგიის წამლებით განკურნება შეუძლებელია.

რაც შეეხება ფეხმძიმობას, მართლაც, ზოგიერთ შემთხვევაში ბავშვის დაბადების შემდეგ დაავადება თავისით გადის. ამ პერიოდში ხომ ქალის ორგანიზმში, სულ ცოტა 9 თვის განმავლობაში (თუ დედა ძუძუს აწოვებს, უფრო დიდი ვადითაც) ითიშება ციკლური პროცესები. ამის ხარჯზე ენდომეტრიოზის კერები ქრება. ასეთი „მკურნალობა“ ყველაზე სასიამოვნოა. მაგრამ მთელი პრობლემა ისაა, რომ ენდომეტრიოზი ხშირად ქალის უნაყოფობის ერთ-ერთი მიზეზია.

ფეხების დატვირთვა სასარგებლოა

ბოლო ხანებში ვერ ვიძინებ: როგორც კი დავწვები, ფეხებში უსიამოვნო გრძნობები მიჩნდება, თითქოს ჭიანჭველები დადიანო. როგორ შეიძლება ამის მკურნალობა?

თეონა ლ. ხაშური

გვიპასუხებს სომნოლოგი გურამ ბიჭიაშვილი:

– სიმპტომები, რომლებსაც თქვენ აღწერთ, შეშფოთებული ფეხების სინდრომის გამოვლინებას ჰგავს. გირჩევთ, დილით ყურადღება მიაქციოთ თქვენს საწოლს. თუ ხედავთ, რომ ზეწარი ძირს გადმოვარდა ან ძლიერ დაჭმუჭნულია, ეს იქნება დამატებითი დადასტურება, ფეხებში ტკივილები ამ დაავადების დროს ჩნდება არა მხოლოდ როდესაც იძინებთ, არამედ ძილის დროსაც.

დარწმუნების მიზნით უნდა გაიაროთ გამოკვლევა – პოლისომნოგრაფია. თუ დიაგნოზი დადასტურდება, ექიმი დაგინიშნავთ სამკურნალო პრეპარატების კურსს. მაგრამ ეს ყოველთვის როდი წყვეტს პრობლემას. ბევრი რამ თავად პაციენტზეა დამოკიდებული.

უწინარეს ყოვლისა, თქვენ უარი უნდა თქვათ ყავასა და სხვა სასმელებზე, რომლებიც კოფეინს შეიცავენ ან, სულ ცოტა გამოიყენოთ იგი სადილის შემდეგ. ისინი აღაგზნებენ ნერვულ სისტემას, ეს კი ამწვავებს საქმის ვითარებას. მიზანშეწონილია, შეიმოწმოთ ჰემოგლობინის შემცველობა სისხლში. რკინადეფიციტური ანემია არსებითად ააქტიურებს შეშფოთებული ფეხების სინდრომს.

სიმპტომების შესამცირებლად სასარგებლოა დატვირთოთ ფეხები დაძინებამდე ცოტა ხნით ადრე. გამოგვადგება ზომიერი, მშვიდი ვარჯიშები დაჭიმვაზე, მოხრა-გაშლაზე, „ველოსიპედი“. აგრეთვე ჩვეულებრივი სიარული საშუალო ტემპით.

დიაბეტის ტვირთი როდის ავტეხოთ განგაში?

ამბობენ შაქრის დიაბეტი გაახალგაზრდავდაო. რა დროიდან უნდა გვეჭიროს „ხელი პულსზე?“

თამარი, ჩხოროწყუ

გვიპასუხებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი დავით მიძაბერიძე:

– მიუხედავად იმისა, რომ ამ დაავადების დებიუტის საშუალო ასაკი 50-60 წელია, ახლა დიაბეტს ვხვდებით 20-30-წლიანებში და 10-12 წლის ბავშვებშიც კი. ამ დროს ეს ცბიერი დაავადება დრო და დრო გვატყობინებს, წყნარად ეპარება ადამიანს. დიაბეტის კლასიკური ნიშნები (ისეთები, როგორებიცაა წყურვილი, პირის სიმშრალე, კანის ქავილი და ა.შ.) შეიძლება არც იყოს მანამ, სანამ ინსულინის უკმარისობა სერიოზულ ხასიათს არ მიიღებს. სპეციალისტების შეფასებით, ერთ გამოვლენილ ავადმყოფზე დიაბეტით მოდის 3-4 ისინი, ვისაც ამის ეჭვიც არ გააჩნია.

ამიტომ ყოველმა ადამიანმა 45 წლის შემდეგ (ზემოთ ჩამოთვლილი საჩივრების არსებობის დროს კი უფრო ადრეც) წელიწადში ერთხელ უნდა ჩააბაროს სისხლში შაქრის ანალიზი უზმოზე. თუ ადამიანი რისკის ჯგუფში შედის (მემკვიდრეობის ან ზედმეტი წონის თვალსაზრისით), ეს ანალიზი უნდა ჩააბაროს უფრო ხშირად და არა მხოლოდ უზმოზე, არამედ ჭამის შემდეგაც, გაიკეთოს ან ტესტი კვებითი დატვირთვით, ან ტესტი გლუკოზისადმი ტოლერანტობაზე. ეს გამოკვლევები შეიძლება გაიარო ნებისმიერი პოლიკლინიკის ბაზაზე. სხვათა შორის, ამ ცოტა ხნის წინათ, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ დაამტკიცა შაქრის დიაბეტის დიაგნოსტიკის ახალი მეთოდი ჰემოგლობინის გლიკოზილირებული დონის მიხედვით. ეს მარტივი ტესტი შეიძლება ჩავატაროთ ნებისმიერ დროს მიღებული საკვებისგან დამოუკიდებლად, და იგი ცვლის 2-საათიან სინჯს კვებითი დატვირთვით.

B ჯგუფი – ნერვების სამკურნალო ვიტამინებია

რატომაა, რომ ნევროლოგები თავიანთ პაციენტებს ყველაზე ხშირად სწორედ B ჯგუფის ვიტამინებს უნიშნავენ?

სერგო, სიღნაღი

გვიპასუხებს ექიმი-ნევროლოგი ლია თეთრაძე:

– საქმე ისაა, რომ სწორედ ამ ჯგუფის ვიტამინები კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენენ ნერვული სისტემის მდგომარეობაზე, რის გამოც მათ ნეიროტროპულს უწოდებენ. ეს ნიშნავს, რომ B ჯგუფის ყველა ვიტამინი და, უწინარეს ყოვლისა, B1, B6 და B12 ერთვებიან ნერვული სისტემის განვითარების ეტაპებში და ნერვული ქსოვილის უჯრედების ნორმალური ფიზიოლოგიური ფუნქციონირების მექანიზმებში. სწორედ ამიტომ ამ ნივთიერებებს უკვე დიდი ხანია იყენებენ მრავალი ნევროლოგიური დაავადების პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის, მათ შორის ნევროლოგიური ტკივილების კუპირებისთვის ნევრიტის, ნევრალგიის და ა.შ. დროს.

მძახლები მარინე მიქაშავიძე, ადა ურუშაძე, მზია ჩიხრაძე, ზურა ჯანხოთელი, მერაბ ქოიავა, ნუნუ გეგეშიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით ღვამიჩავა

პანაშვიდი 14, 15 VI, 17 სთ. მის. კოსტავას ქ. №9 (პ. კობახიძის ქ. №12), დაკრძალვა 16 VI, 14 სთ. გამოსვენება კოზმა და დამიანეს სახელობის ეკლესიიდან. მის: ასათიანის ქ. №10 (ყოფილი ფსიქიატრიული საავადმყოფოს ტერიტორია).

სს „ა.ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი“ და შპს „საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი“ ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ონკოლოგი, ჯანდაცვის ორგანიზატორი, პროფ. ანდრო ღვამიჩავას ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი, მედიცინის დოქტორი

დავით ანდროს ძე ღვამიჩავა

ცენტრის მრავალრიცხოვანი კოლექტივი იზიარებს ოჯახის, ნათესავებისა და მეგობრების მწუხარებას.

კ.ვეფხვაძის სახელობის ონკოლოგთა საზოგადოება, საქართველოს ონკოლოგთა, რადიოლოგთა და თორაკალურ ქირურგთა ასოციაციები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ მედიცინის დოქტორის, ცნობილი ონკოლოგის, ჯანდაცვის ორგანიზატორის

დავით ანდროს ძე ღვამიჩავას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს, ახლობლებსა და მეგობრებს.

რეზო და რუსუდან გაგუები, ლადო კუჭავა, გურამ მენთეშაშვილი, ზურაბ ჩხეიძე, მაკა მაღლაკელიძე, თედო საჟენიუკი, გულნარა მერაბიშვილი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ღირსეული მამულიშვილის, ცნობილი ონკოლოგის, მედიცინის დოქტორის

დავით ანდროს ძე ღვამიჩავას

გარდაცვალების გამო და უთანაგრძნობენ მის ოჯახს.

საქართველოს გინეკოლოგ-ონკოლოგთა საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი გინეკოლოგ-ონკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

დავით ღვამიჩავა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

◎ ინფორმაცია

მგზავრს დამალული ოქრო აღმოუჩინეს

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, თბილისის აეროპორტში, სტამბოლი-თბილისის რეისით აზერბაიჯანის მოქალაქე ზ.ა. ჩამოფრინდა.

საბაჟო გამშვებ პუნქტში „თბილისის აეროპორტი“ ფიზიკური დათვალიერების შედეგად, მგზავრს წელზე შემორტყმული სამედიცინო დანიშნულების ქამრის ქვეშ დამალული, დაახლოებით, 0,7 კგ წონის ოქროს ნაკეთობები აღმოუჩინეს.

სატარიფო ღირებულების დადგენის მიზნით, საქონელს ჩაუტარდა ექსპერტიზა და დაილუქა.

ინტერპრესი

◎ დაიჯესტი

არ გსურთ წავიხემსოთ... ცაში?

„მაშ, შევსვათ იმის სადღეგრძელო, რომ არც ერთი ჩვენგანი, რა მაღლაც არ უნდა დაფრინავდეს, არასოდეს მოწყვეტილა თავის კოლექტივს“ – ეს სადღეგრძელო კინოფილმ „კავკასიური ტყვედან“ განსაკუთრებით აქტუალურია ბელგიური რესტორნისთვის „ვახშამი ცაში“. სუფრაზე ქალაქის თავზე წამომართულ პლატფორმაში ბოკლები შეიძლება ასწიოს 22 კაცმა.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ფრაზები

სხვათაგან თქმული,

ანუ მიუსაფარი აზრების სტრიპტიზი...

● თუ ხუმრობამ ცუდ გუნებაზე დაგაყენა, ცხადია, პოლიტიკოსი გაგხუმრებია.

● ხუმრობა თვალდათვალ ბრტყელდება, თუ იუმორი აწვება.

● მაშინაც კი დიდად კმაყოფილს გაგხდით, თუ მაინცდამაინც ძალიან არ გესიამოვნათ.

● ხალხმა კითხვას თავი დაანება. ამიტომაც არის, რომ ახლა ასე ბლომად იცემა ნაირ-ნაირი წიგნები.

● ნამდვილად უვარგისია ის დასასრული, რომელიც ჰეპი-ენდად გახდომაზე არ ოცნებობს.

● ორნი ერთში: შამპუნი და ქერტლი ერთ ფლაკონში.

● სამზარეულოში მან თვითონ მოუწყო თავის თავს ფურშეტი.

● სამწუხაროდ, ბევრი შემხვედრია ტურისტული რეპრესიების მსხვერპლი.

● შუაღამისას სიარულის მოყვარული სულ ადვილად შეიძლება, რომ საბაზრო ურთიერთობაში აღმოჩნდეს: სიცოცხლე ან ფული.



● თუკი მზე სუყველას ერთნაირად უნათებს, მაშ, რატომ არის, რომ ზოგიერთი მზის ქვეშ თბება, ზოგს კი ოფლი მოსდის?

● ეს მარტო მტრედებს შეუძლიათ, რომ ერთდროულად მშვიდობასაც ასიმბოლურებდნენ და ძეგლებსაც ასკინტლებდნენ.

● ღვთისნიერი უფროსი ვერ იქნები, უკეთუ მენეჯერი ეშმაკეული გყავს.

● სიბრიყვემ და სირეგვენემ საზღვარი არ იცის. ორივეს შენგენის ვიზა აქვს.

● სიბრძნე და მარაზმი ერთდროულად მოდიან.

● გრძელი ფეხები გასაჭიმადაც სასიამოვნოა.

● მკერდზე უამრავი ორდენი და მედალი შეიკედლა.

● ტელეგადაცემათა რეიტინგი უთუოდ აიწევს, უკეთუ ხიხიხის ხახახათი შევცვლით.

● ჯილდომ გმირი იპოვა და ეუბნება: თქვენგან 25 პროცენტი მერგება.

● რაც უნდა, ხალხმა ის იტუტუნოს, ოღონდ ხმას ნუ ამოიღებს, ტრუნი ქნას.

● უბედურება ის კი არ არის, რომ დოლარი ეცემა, უბედურება ის არის, რომ სხვის ჯიბეში ეცემა.

● როცა ისევ ჩვენს ცხვრებს დაუბრუნდნენ, უცებ მწვადის სუნი დადგა.

● მკურნალობა ორგანიზმისა და შემოსავლის ურთიერთბრძოლაა.

● არცრა ისე არ ამოკლებს ცხოვრებას, როგორც გაუთავებელი ჩივილი თვითონ ცხოვრებაზე.

შეკრიბა და გაასგრიპგიზა
გურამ წიკლაურმა

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ყურადღებიანი ვართ

„სააკაშვილმა ჯიჰადი გაითამაშა“

— **მიიჩნევს** ყოფილი სახალხო დამცველი და ექსპერტი ნანა დევდარიანი, — ჩვენ მოდელირებულად გვაცხოვრეს 9 წელიწადი და ამ ხალხისგან ძალიან სასაცილოა დღეს რაღაცებზე საყვედურის მოსმენა. სადაც მოდელირებული ქრონიკა გააკეთეს და ომი გაითამაშეს, იქ ახლა ჯიჰადის გათამაშებას წინ არაფერი დაუდგებოდა... ეს არის სიტუაციის ხელოვნურად დაძაბვა. წარმოიდგინეთ, ახლა, სააკაშვილი ისეთი დონის ფიგურაა, რომ ჯიჰადს უცხადებენ? ობამასთვის არ გამოუცხადებიათ ჯიჰადი პირდაპირ, არაფერს გაგონებთ ეს? რომელიც გორში საკუთარი ცხვირით მიწას ხნავდა, ახლა ისეთი დონის მსოფლიო ფიგურაა, რომ ჯიჰადს უცხადებენ?!

„ახალი თაობა“

„ნაციონალების“ ნარჩენებში დიდი ბჭობა და სერიოზული დაპირისპირებაა“

— **გვიმხელს** მთავრობის კანცელარიის ყოფილი უფროსი პეტრე მამრაძე, — ბჭობენ, თუ ვინ წარადგინონ პრეზიდენტობის კანდიდატად. თავიდან თვლიდნენ, რომ დასავლეთის თვალში მომგებიანი იქნებოდა კანდიდატი, რომელიც ციხეში ზის. მათი მიზანი იყო ეყვირათ, რომ პრეზიდენტობის კანდიდატიც კი ციხეში ზის. მაგრამ „ნაციონალებში“ შიგნით მოხდა დიდი დაპირისპირება ვანო მერაბიშვილის კანდიდატურის გამო. დაინახეს, რომ მერაბიშვილს დანაშაული კიდევ უფრო დაუმძიმდა... მოკლედ, ნაციონალურ მოძრაობაში დიდი აგრესიაა ვანო მერაბიშვილის მიმართ. ბევრმა თავისუფლად ამოისუნთქა მისი დაჭერის შემდეგ.

„ალია“

„სურამში ბზიკები და ბუზები გელოდებათ“

ხაშურის რაიონის დაბა სურამში დამსვენებლები უკვე გამოჩნდნენ. სტუმრებს ადგილზე ანტისანიტარია, გადათხრილი გზები და მოუწესრიგებელი კანალიზაცია ხვდებათ. აქაურების თქმით, ირგვლივ ნაგვის რაოდენობა იზრდება, ნაგვის მანქანა კი კვირაში ერთხელ მოდის. აქ უამრავი ბზიკი და ბუზი ხვდება დამსვენებელს. ხაშურის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი დავით გელაშვილი აცხადებს, რომ იმ ფინანსების ფარგლებში, რაც გამოყოფილია, მაქსიმუმს გააკეთებენ. ვნახოთ.

„რეზონანსი“

◎ ჩვენი კარაბადინი

გადით ხალხში!

ხანდაზმული ადამიანები, როდესაც მარტო რჩებიან, განიცდიან ძალიან სევდიან დარდს და ეს ნაღველი მათი ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობაზე მავნედ მოქმედებს, ამცირებს მათ სიცოცხლეს, მიაჩნიათ ბრიტანელ მეცნიერებს.

მათ დაადგინეს, რომ ნეგატიურ შედეგებამდე მივყავართ არა მხოლოდ ინდივიდუალურ განცდებს, არამედ თავად სოციალური იზოლაციის ფაქტს. აი, რას ამბობენ ამის შესახებ მკვლევარები: „როდესაც მარტოობასა და სოციალურ იზოლაციაზე ვსაუბრობთ, ხშირად ვგულისხმობთ, რომ ეს ერთი და იგივეა. მაგრამ სოციალური აქტივობის უკმარისობა ჯანმრთელობას ზიანს აყენებს იმისგან დამოუკიდებლად, გრძნობს თუ არა ადამიანი მარტოობას“.

მეცნიერების დასკვნები ემყარება მასშტაბური გამოკითხვის შედეგებს, რომელშიც 52 წელს გადაცილებულმა 6,2 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა.

სიმაღლეს აქვს მნიშვნელობა

ადამიანის **სალიდერო თვისებები ასოციირდება მის სიმაღლესთან, ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი ფსიქოლოგები. მათმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ყველა ადამიანი პლანეტაზე, კულტურის ან ალზრდისაგან დამოუკიდებლად, უფრო მეტად ენდობიან მაღალ და არა საშუალო ან დაბალ ადამიანებს.**

მეცნიერებს ბარაკ ობამას მაგალითი მოჰყავთ. პოლიტიკოსმა, რომლის სიმაღლეც 185 სანტიმეტრია, თავის დროზე არჩევნებში გაუსწრო ჯონ მაკკეინს, რომელიც მასზე 13 სანტიმეტრით დაბალი იყო.

მკვლევარები ამბობენ, რომ ძველი ადამიანები ბელადებსა და საღმრთო ფიგურებს ირჩევდნენ უფრო მაღლებს, ვიდრე უბრალო ადამიანებს. თანამედროვე სტუდენტებიც, როდესაც ცალკეულ ფურცლებზე ხატავდნენ „იდეალური ლიდერისა“ და „ტიპური მოქალაქეების“ ფიგურებს, „ლიდერს“ შემთხვევების 64 პროცენტში წარმოსახავდნენ უფრო მაღლად.

მკურნალი კომბოსტოა

ყვავილოვანი **კომბოსტო — ყველაზე სასარგებლო ბოსტნეულია, მიაჩნიათ დიეტოლოგებს ამერიკის შეერთებული შტატებიდან. მასში პრაქტიკულად არის ადამიანის ორგანიზმისთვის ყველა აუცილებელი ვიტამინი და მიკროელემენტი, და მას შესანიშნავად ითვისებს ორგანიზმი.**

50 გრამი ყვავილოვანი კომბოსტო შეიცავს უდიდესი ანტიოქსიდანტის — ვიტამინ C-ს დღის ნორმას. ბოსტნეულში უხვადაა ვიტამინი A, რომელიც აუცილებელია მხედველობისა და კანის ჯანმრთელობისთვის. B ჯგუფის ვიტამინები, რომელიც კომბოსტოშია, ამაგრებს გულ-სისხლძარღვთა და ნერვულ სისტემებს.

სპეციალისტები გვირჩევენ, მივიღოთ ყვავილოვანი კომბოსტო კუჭ-ნაწლავთა, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის დაზიანებისა და სიმსუქნის დროს. ეს ბოსტნეული ამაგრებს სისხლძარღვებს და გამოჰყავს ქოლესტერინი, რაც ისეთი სერიოზული დაავადებების პროფილაქტიკაა, როგორებიცაა გულის შეტევა, ინსულტი და ინფარქტი.

ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— **მოშე**, რატომ არ ავსებ კათხას ბოლომდე?
— მოხუცი ვარ, დაგენაცვლე, ცუდად ვხედავ.
— მაშინ ზედმეტს რატომ არასოდეს არ ასხამ?
— ბრმა კი არა ვარ.

* * *

ძველთად მოსიარულეთა გადასასვლელზე ავტომობილი კაცს დაეტაკა. გადმოხტა მანქანიდან მძღოლი, მივარდა დაზარალებულს და ეუბნება:
— თქვენ გაგიმართლათ. ექიმი ვარ.
— თქვენ კი არ გაგიმართლათ, ადვოკატი ვარ!

* * *

სტატისტიკის თანახმად, ის ადამიანები, რომლებიც მერვე კლასის შემდეგ არაყში ლუდს ურევდნენ, მეთორმეტე კლასის შემდეგ სილაში ცემენტს ურევენ.

— **ნასტენკა**, წარმოგიდგენია, როგორ გამიმართლა? კოსტიუმი, რომელშიც 1500 დოლარი გადავიხადე, კარტში 10 ათასად წავაგე.

* * *

თუ კაზინოში აპირებთ წასვლას, ლამაზი ტრუსები ჩაიცვით, იქნებ იქიდან სწორედ ტრუსებით მოგიწიათ წამოსვლა.

* * *

თუ ახალგაზრდა და ენერგიული ხარ და გსურს, რომ შენი შესაძლებლობები ბიზნესში გამოიყენო, თვითონ იშოვე სამუშაო და თავს ნუ გვაბეზრებ.

* * *

დილით არ გინდა სამსახურში წასვლა? გადაფურცლე ჟურნალი „ფორბსი“ და მოძებნე იქ შენი გვარი. ვერ იპოვე? მაშინ სასწრაფოდ მოუსვი სამსახურისკენ.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com